



ნომ 2008
სეპტემბერი-ოქტომბერი

გარეანის ქართული სათვისტომას ორგანო

ქართული მარცო უნდა?
ქართული ქართველთ რწმუნა!
ლმერთით, ბეჭისერთა,
ზღვას როთ, იმოდენა!



ნოაზისი:

საპირველობელო ღუში	3
ომის შეღები	4-7
ლია წერილი ვდალიმეხ პუცინს	7-10
თამაშის ტოცვის ძალა	11-14
რითელი ბაიჩალები	15-20
ქახთული ჩავალი	21-22
გეჩენია - მეგობებების კვეყანა	22-25
ჩამორი კახგად ვიცრობთ საყუთაშ თავს და ჩა გვიშტის ხელს ვიყოთ ის, ვიცე ვაჩა	25-27
თუთა	28-29
თავშესაჭრალ	30

სავისებელი გამოცემა

ქ. მამულ!

ქ. მამულ! ერძნობა შენი მოვლინა
მართ ყველა ჩვენთა ერთ კალია.
სანამ ემისმა შენთვის სული დალია,
სოჭა: „სამშობლო, ყვითებულენ ყოვლინა!“
ამორში ქანისა და თოვლინა,
ყოველ ჩვენებან ყოფილ მიზნად უწერა
მხოლოდ შენთვის თავდაღების შენება:
მამული ეყლი, ყვითებულენ ყოვლინა!
მზე ჩატარება ყველა სისხლის მწოვლინა,
მზე ამოვა ყველა დაჩაერებულინა.
ნამლად იწნას ყოველ დაჭრილ ეყლინა:
გამარჯვება, ყვითებულენ ყოვლინა!

გალარენი

ორის თადაგაბი

ახალი საზღვარი

ომის შედეგების აღნუსხვა ჯერ კიდევ არ დასრულებულა. ოფიციალურად არაა დადგენილი კონფლიქტის, გნებავთ, ბუფერული ზონის საზღვარიც. საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც მონიტორინგს ახორციელებენ აღნიშნულ ტერიტორიაზე, ვერ ბედავენ მისის შესრულებას იქ, სადაც ქართული იურისძიებია არ ვრცელდება. ჯერ კიდევ არაა დასრულებული ომის შედეგად დაზარალებული ადამიანებისა და მათდამი მიყენებული ზიანის აღნუსხვა. ახალი დეცნილების ჩასასახლებლად, ამ ეტაპზე, სახელმწიფო ათასობით საცხოვრებელ სახლს ცაიტნოტის რეჟიმში აშენებს.

მოდი, ვნახოთ ომი

საქართველოს რუკას შაგრენის ტყავისმაგვარი ამბავი დაემართა. ზემოთ მხარეს ორი ადგილი “მოებიჩა”. კონვერტულად რა მოცულობის ფართობები დაკარგა საქართველომ აგვისტოს მოვლენების შედეგად, ამის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია ჯერ-ჯერობით არ არსებობს. მხოლოდ ცნობილია, რომ საუბარია ეგრეთ წოდებულ სამხრეთ ოსეთზე და კოდორის ხეობაზე. თამარაშენი, აჩაბეთი, ქურთა, კეხვი, სვერი, ქემერტი, ძარნემი, ხეითი, ფრისი, არგვიცი, ბერულა, ერედვი, ვანათი, ბელოთი, საცხენეთი, ჭარები, ქსუისი, ანრისევი, დისევი, არცევი, ნული, ავნევი, სულ 22 სოფელი და ამას დამატებული ზონები - ეს, რაც დიდი და პატარა ლიახვისა და ფრონეს ხეობაში აგვისტოს მოვლენების შედეგად დავკარგეთ. ამ სოფლებიდან დევნილების ყველაზე დიდი გულისტკივილი ისაა, მათ სისხლით დაცული და გადარჩენილი ადგილები დაკარგეს. “ჩვენ 15 წლის მანძილზე საკუთარი სისხლის და საკუთარი სიცოცხლის ფასად ვიცავდით ამ ადგილებს, რა არ გადავიტანეთ, ტყვიები გვაწვიმდა, მაინც არ მიგვიტოვებია ჩვენი სახლები და არ გავქცეულვართ. ახლა კი ერთ დღეში დაიცალა ხეობა, ყველანი უიარაღოები ვიყავით, დავტოვეთ სახლები და გავიქეცით, სხვა გზა არ იყო, შიშველი ხელებით ვერაფერს დავიცავდით. ჯარმა უნდა დაიცვას ქვეყანა და არა აქ მყოფებმაო. ჩვენი სოფლები ცხინვალს

გარს ერტყა, როგორც ქვაბში იხედებიან, ისე დავყურებდით, ახლა ყველაფერი დაიკარგა,”- ამბობენ დევნილები.

მოდი, ვნახოთ მიწა

ქართული მედია ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონას სხვადასხვა სახელს არქმევდა, ზოგჯერ ცხინვალის რეგიონს, ზოგჯერ, სამაჩაბლოს, ზოგჯერ ეგრეთ წოდებულ სამხრეთ ოსეთს უწოდებდა, იქიდან გამომდინარე, რომელს ჩათვლიდნენ უპრიანად პოლიტიკოსები. 90-იანი წლების დასაწყისში ტერიტორიას მეტწილად სამაჩაბლოდ მოიხსენიებდნენ, ვინაიდან ეს ადგილები, ისტორიულად მართლაც თავადი მაჩაბლების განვარგულებში იყო. თუმცა შემდეგ “გარება”, რომ ისტორიული სამაჩაბლოსა და სადაცო ტერიტორიის საზღვრები ერთმანეთს არ ემთხვეოდა. გარდა ამისა, ტერიტორიის “სამაჩაბლოდ” მოხსენიებით კონფლიქტის ოსური მხარე უკმაყოფილო იყო, რადგან ეს სახელწოდება ადგილის ქართულ კუთვნელებას უსაბაძა ხაზს. მედია, პოლიტიკოსებისა და პოლიტოლოგების რჩევით, თანდათან გადავიდა ტერმინზე “ცხინვალის რეგიონი”. ეს, ერთგვარად, ნეიტრალური სახელწოდება იყო და თანაც შესაფერისი ადგილისთვის. მაშინ ამბობდნენ, რომ ეს უკეთ გამოხატავს სადაცო ადგილის მდებარეობასა და მოცულობას. თუმცა შემდეგ სახელწოდებების ფორმულირებაში პოლიტიკურმა ასპექტმა იმძლავრა. ითქვა, რომ პრობლემა არ იქნება ვუწოდოთ ამ ადგილს სამხრეთ ოსეთი, მხოლოდ იმის გამო, რომ ეს ასე ძლიერ სურს ოსურ მხარეს. თუკი სახელწოდების ამგვარად გამოთქმა ხელს შეუწყობს მძიმე ურთიერთობის განმუხტვას, თუკი ეს ამ პრობლემის მოგვარებისკენ წაგვიყანს, მხოლოდ სახელს, როგორც იქნება შეველევითო. ამგვარი დასაბუთების შემდეგ ქართული მედია გადავიდა ტერმინზე “სამხრეთ ოსეთი”, რომელსაც ზოგჯერ აყოლებდა “ეგრეთ წოდებულს,” ზოგჯერ არა.

საბჭოთა სოციალისტური საქართველოს ენციკლოპედიაში სამხრეთ ოსეთის შესახებ წერია, რომ იგი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1922 წელს შეიქმნა და მისი ფართობი იყო 3,8000 კვადრატული კილომეტრი, რაც

ქართული

საქართველოს ტერიტორიის 5,4 პროცენტს შეადგენდა. იგი მოიცავდა ოთხ ადმინისტრაციულ ერთეულს, ზნაურის, ლენინგორის, ცხინვალისა და ჯავის. 1991-1992 წლების კონფლიქტის დროს საქართველომ მათგან სრულად მხოლოდ ერთი, ჯავის ტერიტორიული ერთეული დაკარგა. ზნაურისა და ცხინვალის რაიონები კი დაკარგა ნაწილობრივ. მოგვიანებით, ზნაურის რაიონში ყორნისის თემის სახელმისამართი მიიღო და ნაწილი მასში შემავალი სოფლებისა ქარელის რაიონს მიაკუთვნეს. მას შემდეგ, რაც სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაცია შეიქმნა, ავნევი და ნული იქ ცალკე ერთეულად შევიდა. აგვისტოს მოვლენების შედეგად ორივე სოფელი დაკარგა. რაც შეეხება ლენინგორს, პოსტ-კომუნისტურ საქართველოში იგი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს გამოეყო და ახალგორის ისტორიული სახელმისამართი დაიბრუნა. შეიცვალა მხოლოდ რაიონის დასახელება, საზღვრები კი დარჩა იგივე. ახალგორის რაიონის ფართობი 1011 კვადრატულ კილომეტრს, ანუ 1 001 100 ჰექტარს შეადგენს. დღეს ეს ტერიტორია დაკარგულია. მასზე ქართული იურისდიქცია აღარ ვრცელდება. ახალგორის საკრებულოს თავმჯდომარე ავთანდილ ყოჩიშვილი აცხადებს, რომ მთელმა ადმინისტრაციამ 15 აგვისტოს რაიონი ზემდგომი ორგანოების მითითების შედეგად ისე დატოვეს, თან არაფერი წაუღიათ. “15 აგვისტოს მოვიდა შეტყობინება, დაგვეტოვებინა სამსახურები. გვითხრეს, რომ ჩვენი აქ გაჩერება სახიფათო იყო. სადაც საშუალება გვქონდა, გავგზავნეთ მობილური ჯგუფები ავტომანქანებით და შევატყობინეთ ეს ამბავი, სადაც ამის საშუალება არ იყო, დავრცევთ და ვუთხარით, რომ დაეტოვათ რაიონი. არაფერი არ წაგვიღია. ყველაფერი ადმინისტრაციულ სახლში დარჩა, კომპიუტერები, პრინტერები, ტელევიზორები, მაცივრები, ყველანაირი ტექნიკა, საბუთები. წინააღმდეგობა არავისთვის გაგვიწევია, ყოველგვარი პრობლემის გარეშე შემოვიდნენ რაიონში”, - აცხადებს ავთანდილ ყოჩიშვილი. ახალგორში ჯერ რუსული არმია შევიდა, მათ ფეხდაფეხ ისური შეიარაღებული ფორმირებები მიჰყვნენ. “მარტო ოსი ვერ გაბედავდა შემოსვლას, ჯერ რუსები შემოვიდნენ, შემდეგ ოსები მოჰყვნენ”, - ამბობს ავთანდილ ყოჩიშვილი. მომენტალურად სხვა წყობილება დამყარდა. საკრებულოს თავმჯდომარე საუბრისას აღნიშნავს, რომ კუპანტებს “მშვენიერად უსწავლიათ” როგორ უნდა მოიქცე დაპყრობილ ტერიტორიაზე. “დაინტერირიზაცია დამყარდა სამსახულეობის აღნერით. ყველაფერს ზედმინევნით სისტემურად აკეთებენ, მოგვმართეს თხოვნითაც და შემოგვთავაზეს მათ ადმინისტრაციაში მუშაობა,

დახმარება, მაგრამ მაგაზე ვინ წავა?”, - ამბობს საკრებულოს თავმჯდომარე. იგი ხაზს იმასაც უსვამს, რომ მასობრივი ხასიათი ოკუპანტების მიერ მოსახლეობის შევიწროვებას არ აქვს. იყო რამდენიმე შემთხვევაც, როდესაც ნასვამა ოსებმა ადგილობრივი მცხოვრებლები სცემეს. “ახალგაზრდები ტოვებენ რაიონს, ყველა მიდის, უარს ამბობენ ოსური პასპორტის აღებაზე, რასაც ოსები მოითხოვენ. პირველი ეტაპი მოსახლეობის აღწერა იყო, ეს უკვე გააკეთეს, ახლა პასპორტიზაცია დაიწყეს. ეს იმისთვის სჭირდებათ, რომ დაადგინონ რაიონში მცხოვრებთა ზუსტი რაოდენობა, შემდეგ კი ამბობენ, რომ ჯარში განვევის მოთხოვნასაც დააყენებენ. ახალგორში 8000 ადამიანი ცხოვრობს და 20 სკოლაა. ახლა იქ, სადაც სწავლის პროცესი მიმდინარეობს, ოსური ენის გაკვეთილების ჩატარებამ სავალდებულო ხასიათი მიიღო,” - ამბობს ავთანდილ ყოჩიშვილი.

ოკუპანტები ახალგორში 15 აგვისტოს გამოჩენდნენ. იქ შესასვლელად მათ გამოიყენეს გზა, რომელიც კასპის რაიონის სოფლებზე, იგოეთსა და ლამისყანაზე გადის, ბუნებრივია ქალაქ გორისა და თბილისი-გორი-ლესელიძის მაგისტრალური გზის გავლით. ახლაც, ცხინვალიდან პირდაპირ ახალგორში რომ მოხვდეთ, 7 საათიანი საშინელი, ტყის გზა უნდა გაიაროთ. ანუ, არსებულ ინფრასტრუქტურას თუ გავითვალისწინებთ ოკუპანტებმა ახალგორში რომ მკვიდრად მოკიდონ ფეხი, მრავალი ტექნიკური სირთულე უნდა გადალახონ. ახალგორის დეპუტატიც და გამგებელიც ერთხმად ადასტურებენ, რომ ზამთარში ის გზა, რაც ცხინვალსა და ახალგორს აკავშირებს, ფაქტიურად გადაულახავ წინააღმდეგობად იქცევა. თუმცა ორივე მათგანი იმასაც ადასტურებს, რომ გზის მშენებლობა დაჩქარებულ ტექმში მიმდინარეობს. ამჟამად ოსები და რუსები ხშირად იგოეთი-ლამისყანის გზით სარგებლობენ ახალგორში მოსახვედრად. ანუ ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებს დაუბრკოლებად გადიან. ამ ინფორმაციას, მცირეოდენი შერბილებით, ადასტურებენ ახალგორის დეპუტატიც და გამგებელიც. “ახალგორიდან ცხინვალისკენ მიმავალი გზა ყოფილ ზნაურის რაიონზე გადის. ესაა, ფაქტიურად ტყის გზა, 70 კილომეტრია და 7 საათი უნდა მის გავლას, თანაც “ნივით”, “ჯიპით”, ან სხვა ამდაგვარი მანქანით. ზამთარში მისით სარგებლობა მართალია ძალიან გაჭირდება, მაგრამ შეუძლებელი,

ალბათ არ იქნება. იგი მდინარე ლეხურის ხეობაზე გადის. ახალგორიდან უნდა გაიაროთ სოფელი ბოლი, ყანჩავეთი, არმაზი, ზახორი. გაცილებით მოსახერხებელია მეორე, იგორთი-ლამისყანის გზა. ასე ცხინვალიდან ახალგორში მოხვედრისთვის 2 საათი სრულიად საკმარისია. ამჯამად ამ გზით მართალია სარგებლობენ იკუპანტები, მაგრამ ნაკლებად, უფრო მეტად რუსები დადიან, ოსები ერიდებიან, -“ ამბობს დევი ოვაშვილი, ახალგორის რაიონის დეპუტატი.

ცხინვალის რაიონიდან, რომელიც ქალაქ ცხინვალსა და 99,156 ჰექტარ ფართობს მოიცავს გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული ქართული მხარე აკონტროლებდა 22 სოფელს, რომლის 99% ამჟამად იქაური დეპუტატის მტკიცებით დამწვარია და კიდევ ზონგარს. ეს უკანასკნელი სოფლად, ფაქტობრივად, არ ითვლება, რადგან იქ, დაახლოებით 4 ოჯახი ცხინვრობს. ადგილი ზონგარის წყალსაცავის გამოა მნიშვნელოვანი. ლიახვის ხეობის დეპუტატი ბადრი ბასიშვილი როგორც ამბობს, ზონგარის წყალსაცავის შესაძლებლობები რომ სრულად გამოიყენო, შესაძლოა სარწყავი წყალი თბილისამდეც ჩამოვიდესო. აგვისტოს მოვლენების შედეგად ყველა მათგანი დაიკარგა და იქ მაცხოვრებელი 16 000 ადამიანი დევნილად იქცა. ზოგმა მათგანმა ხელმეორედ განიცადა ლტოლვილობის ხედრი.

ომის შედეგი ჩრდილოეთის მიმართულებით ის გახლავთ, რომ საქართველოს სწორედ ის ტერიტორიაა მთლიანად ოკუპირებული, რომელსაც საბჭოთა კავშირის დროს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ერქვა. ანუ ქართულ პოლიტიკასა და მედიაში დამკვიდრებულ ტერმინს “ეგრეთ წოდებულის” მიკერებამაც არაფერი უშველა. დღეს რუსეთის ოფიციალურ სტრუქტურებში წარბმებრელად ამტკიცებენ, ჩვენ ზღვარს არ გადავსულვართ, სამხრეთ ოსეთი ისედაც მოიცავდა ახალგორსაც და სხვა, მანამდე ქართველების მიერ კონტროლირებად ადგილებს. სამხრეთ ოსეთი, ჩვენ რომ ვუწოდებდით, ეს იყო.

ცხინვალი რომ საქართველოსთან ე.წ. სახელმწიფო საზღვრის დემარკაციას გეგმავს, - ამის შესახებ ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა მიხეილ მინძაევმა რამდენიმე დღის წინაც განაცხადა. მისი თქმით, საზღვრის დემარკაცია ოსურმა და ქართულმა მხარეებმა საერთაშორისო ორგანიზაციების შუამავლობით უნდა განახორციელონ. “იყოს თუნდაც, “წითელი ჯვარი”, ჩვენთვის სულ ერთია, ოღონდ საზღვრის

ყოველი მეტრი დადგინდეს. ასევე უნდა დადგინდეს, რა ძალები და საშუალებები იქნება სასაზღვრო ზოლში ქართული მხრიდან განლაგებული. ყველა ჩვენი ძალა, რომელიც სასაზღვრო ზოლში დგას, გაფრთხილებულია, არ აჲყეს პროვოკაციებს. პროვოკაციები კი ფაქტობრივად ყოველდღე ხდება იქ მყოფი დამკვირვებლების უმოქმედობის ფონზე”, - ამბობს მინძაევი, რომელიც საზღვრის მოწყობასა და გადაკვეთასთან დაკავშირებით ბევრი საკამათო საკითხს ხედავს. მინძაევის განცხადებით, სხვადასხვა წელს გამოცემულ რუკებზე უწესესტოები და განსხვავებული მონაცემებია. სხვათა შორის, ამ მხრივ, მართლაც დიდი გაურკვევლობაა, რადგან როგორც ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის, ისე აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებების ხელდასხმით გამოცემულ რუკებზე სუბიერქტური ინტერპრეტაციების დიდი სიჭარბე თვალშისაცემია. ამ კუთხით, ჩვენი საერთო კომუნისტური წარსულის პერიოდში გამოცემულ რუკებზე და დაწერილ ისტორიაზე შეჯერება, მისი ათვლის წერტილად მიჩნევა, შესაძლოა უკეთესი გამოსავალი იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა ყველამ ერთად (ქართულმა, ოსურმა, აფხაზურმა, რუსულმა მხარეებმა) აღიაროს, რომ საბჭოთა სოციალისტური საქართველოს ენციკლოპედიაში რუკებისა და ტერიტორიების კუთვნილების შესახებ შეტანილი ცნობები ტყუილია.

კოდორის ხეობიდან აგვისტოს მოვლენების შედეგად 23 სოფელი დაიცალა. ქვაფჩარა, პტიში, შაფატკვარა, ჩხალთა, ქვემო ზიმა, ზედა ზიმა, ბურუური, აძგარა, ბურუური, ბრამბა, ნაპარი, ქვემი აუარა, ხეცვარა, ცენტრი აუარა, შუა აუარა, ზემო აუარა, ტვიბრაშერი, მარცხენა გენწვიში, მარჯვენა გენწვიში, ხუჭია, ომარისარი, გვანდრა, საკვინი, 2566 მაცხოვრებლითურთ. თენგო ბენდელიანი, აფხაზეთის დევნილთა დეპარტამენტის საქმეების თავმჯდომარე აცხადებს, რომ ამ სოფლებში მთლიანად 7-8 ოჯახი თუ იქნება დარჩენილი, დაახლოებით 20 ადამიანი. ფაქტიურად, სოფლები ცარიელია. რა მოცულობისაა თავად ტერიტორია, ძნელი სათქმელია, რადგან ინფორმაციის მიკვლევა, კონკრეტულად ამ სოფლების ფართობების შესახებ, მრავალ ტექნიკურ სირთულეს უკავშირდება.

მოდი, ვნახოთ წყალი

ოკუპაციის შედეგად რამდენიმე წყალსაცავიც დაიკარგა. მათი მეშვეობით არა მხოლოდ ცხინვალის სოფლები, არამედ გორის, ქარელისა და კასპის რაიონის უმეტესი ნაწილიც მარაგდებოდა სარწყავი წყლით. შიდა ქართლის ზეგანი, ტირიფონას ველი

ირწყვებოდა ტირიფონას არხით. ეს გახლავთ მაგისტრალურ არხთაგან ერთ-ერთი, რომელსაც წამში 10 კუბური მეტრის მოცულობის წყლის გარატება შეეძლო. მეორე მაგისტრალური ხაზი, სალთვისის არხი წამში 5 კუბური მეტრი წყლის გამტარობას უზრუნველყოფდა. მთლიანად გორის, ქარელისა და კასპის რაიონების საჭიროება კი 17 კუბურ მეტრს წამში არ აღემატება. “ამ ორივე არხის სათავე ნაგებობა მდებარეობს ცხინვალში, ქალაქში. რა იქნება მომავალში, მოგვაწვდიან თუ არ მოგვაწვდიან წყალს ცხინვალიდან არავინ იცის, ამის განსაზღვრა შეუძლებელია. ადრე არსებობდა გეგმა ზემო ნიქოზთან კაშხლის მშენებლობის. ეს სოფელი ცხინვალიდან 400-500 მეტრში მდებარეობს. ამჟამად მუშავდება პროექტების ამ კუთხითაც. ჩვენ აუცილებლად უნდა ვიზრუნოთ სარწყავი წყლის ალტერნატიული გზების ძიებაზე. ახლა ზამთრის პირია და ამის საჭიროებას მოსახლეობა ნაკლებად გრძნობს, გაზაფხულის დადგომასთან ერთად შიდა ქართლის უმეტესი ნაწილი, სარწყავი წყლის კატასტროფული დეფიციტის წინაშე დადგება. ასე რომ მომავალი წლისთვის დიდი საშიშროება იქნება, თუ მანამდე რაიმე ალტერნატიული გზა არ გამოიძებნა წყლის მიწოდების. საუბარია ჭაბურლილების დამონტაჟებაზე ტირიფონას მაგისტრალურ არხზე. ეს ზემო ნიქოზთან კაშხლის მშენებლობის პარალელურად უნდა გაკეთდეს. რაც შეეხება ზონგარის წყალსაცავს, ეს გათვალისწინებული იყო ქართული სოფლებისთვის. ზაფხულის

პერიოდში მასში 40 მილიონი კუბური მეტრი წყალი გროვდებოდა, რომელსაც შემდეგ ლიახვის წყალს კიდევ ვამატებდით ტირიფონას არხიდან. ჩვენი სოფლების დაკარგვასთან ერთად, ზონგარის წყალსაცავით სარგებლობის შესაძლებლობაც უნდა გამოვრიცხოთ, ანუ ეს ჩვენთვის დაკარგულია ახლა. მისი გამოყენება ოსურ მხარეს გაუჭირდება, ტექნიკური მიზნების გამო,” - აცხადებს ბორის ჩხეიძე, გორის რაიონის სოფლის წყალსადენების მთავარი ინჟინერი, ადამიანი, რომელიც წარსულში მელიორაციის სამმართველოს ხელმძღვანელობდა გორში და ამ საკითხებს ზედმინენით კარგად იცნობს. იგი სარწყავი წყლის პრობლემებზეც საუბრობს, რომელმაც ქართული ტერიტორიების იკუპაციასთან ერთად თავი იჩინა. ამჟამად სოფლები მერეთი, არბო, ქორდი, დიცი, ერგნეთი (ნანილობრივ), ფლავი, ფლავისმანი, ტყვიავი უწყლოდ დარჩენის საშიშროების წინაშე დგანან. ბორის ჩხეიძის ინფორმაციით, “ახლა ისინი მხოლოდ იმ წყალს ღებულობენ, რასაც მილები აპარებს. ჭაბურლილები ამჟამად დაპროექტების პროცესშია. იმედია, გაზაფხულამდე გარკვეული სამუშაოები დასრულებული იქნება. პრობლემები სისტემასაც აქვს, რომელიც უკვე 60 წელს ითვლის. რაიონში მთლიანად უნდა შეიცვალოს ქსელებიც,” - ამბობს ბორის ჩხეიძე. გორის რაიონი ვანათის სასმელი წყლის სისტემით მარაგდებოდა, რომლიდანაც ახლა მიწოდება შეწყვეტილია.

ნინო დალაქიშვილი

ლია ტარიელი პრაგიან პეტიონი

ბატონო პრემიერ-მინისტრო,
თქვენს ინტერვიუში ტელეკომპანია „სი-ენ-ენ“-სათვის, რომელიც ძირითადად რუსეთ-საქართველოს კონფლიქტს შექმნა, თქვენ წინ უსწრებთ ზოგიერთ ისტორიულ ექსკურსს, რაც მიზნად ისახავს „მაინც უფრო ფართოდ შევხდოთ ამ კონფლიქტს“, ვინაიდან, ეჭვგარეშეა მსმენელებისთვის „საინტერესო იქნება გაიგოს ცოტა რამ მსოფლიოს ამ რეგიონში (ე. ი. კავკასიაში - ავტ.) ხალხთა და ეთნოსთა შორის ურთიერთობათა წინაისტორიის შესახებ. ამის თაობაზე ხომ არავინ არაფერი იცის“.

ეს თქვენი სიტყვებია, რომლებიც მიმართულია, ალბათ, დასავლეთ ევროპისა და ამერიკის მკითხველებისა და მსმენელებისადმი და არა

მხოლოდ მათდამი, სავსებით სამართლიანია. მაგრამ, სამწუხაროდ, თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თქვენი ცოდნა „წინაისტორიის“ დარგში ამ როგორი პრობლემებისა, ხელს უწყობს მხოლოდ მსმენელთა სრულ დეზინფორმაციას. მართლაც, თქვენ ამბობთ:

1. „ყველა ეს სახელმწიფო წარმონაქმნი (კავკასია - ავტ.) თავის დროზე ნებაყოფლობით შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში?!..

ბატონო პრემიერ-მინისტრო, არ არის დრო, ოცდამეტოუ საუკუნეში უარი ვთქვათ „ნებაყოფლობით“, „უფროსი მმის“, „გამათავისუფლებელის“ კომუნისტურ იდეოლოგიაზე, რომელთანაც ყველა მეზობელი ცდილობს „ნებაყოფლობით“ გაერთიანდეს!

ისტორიაში არის ფაქტები, როდესაც მცირე, უფრო სუსტი სახელმწიფოები, პოლიტიკური მიზეზებით, მიმართავენ ძლიერ მეზობელს აღმოუჩინოს „მფარველობა“, „პროტექტორატი“, მაგრამ ეს მოვლენები სხვა იურიდიული განმარტებებია. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა შესანიშნავად განიცადეს თავიანთ თავზე, თუ როგორი „გამათავისუფლებელი“ იყო საბჭოთა კავშირი.

2. „რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში პირველი შევიდა, ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნის შუა პერიოდში, 1745- 1747 წლებში ოსეთი. მაშინ ეს იყო ერთიანი სახელმწიფო წარმონაქმნი. ჩრდილოეთი და სამხრეთ ოსეთი - ეს იყო ერთი სახელმწიფო!“

აქ რამდენი ფრაზაცაა, იმდენი სიყალბე! ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ოსეთისა“ და ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიები არასოდეს არ შესულან ერთ სახელმწიფო წარმონაქმნში. ეს ისტორიული ნონსენია, რომელიც არ ითვალისწინებს კავკასიის ქედის არსებობას!

XVIII საუკუნეში საერთოდ არ არსებობდა ოსეთი, როგორც ერთიანი დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული. ოსები, რომლებიც ცხოვრობდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში, ემორჩილებოდნენ ყაბარდოელებს. 1774 წელს რუსეთმა ფორმალურად აიყვანა თავის მფარველობის ქვეშ ყაბარდო და მასთან ერთად - ჩრდილოეთ კავკასიის ოთხი ოსური საზოგადოებიდან სამი (იხ. „ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორია უძველესი დროიდან მე-18 საუკუნის ბოლომდე“. 1988. გვ. 442-449; ბლიევი. ტურგიევი. „ჩრდილოეთ ოსეთის ისტორია“, ნაწილი პირველი, ორჯონიერი, 1990. გვ. 44-45).

რაც შევხება „სამხრეთ ოსეთს“, ასეთი ცნება მაშინ საერთოდ ბუნებაში არ არსებობდა. მხოლოდ ოსების გარკვეული რაოდენობა (2860 კომლი, ე.ი. დაახლოებით 15 000 ათასი კაცი), რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიიდან სამხრეთში გადმოსახლდნენ XVIII საუკუნეში, ცხოვრობდა ქართველი ფეოდალების მფარველობის ქვეშ დღვენდელი ებრეთ წოდებული „სამხრეთ ოსეთის“ უკიდურესი ჩრდილოეთის მთაბან ნაწილში (იხ. დოკუმენტი: „ქართლისა და კახეთის მოსახლეობა 1770 წელს“ კრებულში: „ქართული სამართლის ძეგლებში, ტ.2, თბ. 1965. ქართულ ენაზე“). არსებობს საქართველოსა და კავკასიის XVIII საუკუნის ევროპული და რუსული რუსები, რომლებიც ინახება რუსეთის არქივებში და რომლებზეც „ოსეთი“ აღნიშნულია იქ, სადაც უნდა იყოს - ჩრდილოეთ კავკასიაში!

3. „1801 წელს, თუ მეხსიერება არ მღალატობს, რუსეთის შემადგენლობაში ნებაყოფლობით შევიდა თავად საქართველო, რომელიც იმყოფებოდა ოსმალეთის იმპერიის ცნობილი ზეწოლის ქვეშ“.

ბატონო პრემიერ-მინისტრო, სამწუხაროდ,

თქვენ მეხსიერება გლალატობთ. 1801 წელს რუსეთის შემადგენლობაში შევიდა არა მთლიანად საქართველო, არამედ მისი ნაწილი - აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო (რომელიც არა ოსმალეთის იმპერიის, არამედ ირანის მხრიდან „ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდა“). მაგრამ, 1783 წლის ხელშეკრულებით („გეორგიესკის ტრაქტატზ) აღმოსავლეთ საქართველო, ანუ ქართლკახეთის სამეფო, სწორედ, როგორც სახელმწიფო უნდა შესულიყო რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ! ამის ნაცვლად მეფე ალექსანდრე პირველმა უძალვე გაანაბეჭურა საქართველოს ყოველგარი სუვერენიტეტი, გახადა იგი რუსეთის გუბერნიად, ესე იგი, მოახდინა მისი ტერიტორიის მარტივი ანექსია. რაც შევხება დასავლეთ საქართველოს, იმერეთის (დასავლეთ საქართველოს) მეფე სოლომონ პირველი ათი წლის განმავლობაში თავდაუზოგაფად იძრძოდა რუსეთის ჯარებთან და არც დანებებულა, ისე გარდაიცვალა დევნილობაში. და, საერთოდ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ აჯანყებათა ტალღა დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და რუსების წინააღმდეგ საყოველთაო აღმტოობებისა, რომლებმაც არ შეასრულეს სიტყვა, არ დამარცხდა XIX საუკუნის თთქმის მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში. აი, შედეგი რუსეთის იმპერიასთან „ნებაყოფლობითშ შეერთებისა!

4., „1812 წელს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა აფხაზეთი. ამ დრომდე იგი შენარჩუნებული იყო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, როგორც დამოუკიდებელი სამთავრო.“

ჯერ ერთი, აფხაზეთი (ისიც არა დღვევანდელ ფარგლებში) რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა 1810 წელს. მაგრამ ეს არ არის მთვარი. მთვარი ის არის, რომ იმ უძველესი დროიდან დაწყებული, როდესაც დღვევანდელი აფხაზეთის ტერიტორია მოხვდა ანტიკური (ძველ ბერძნული) წყაროების თვალთახედვაში და მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში იგი იყო საქართველოს სახელმწიფოებრიობის ორგანული ნაწილი, ჯერ - დასავლეთ საქართველოსი, კოლხეთის, შუა საუკუნეებში კი - საერთო საქართველოსი, XII საუკუნიდან კი კკლავ - დასავლეთ საქართველოსი. და მის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ ქართველი ტომები. რომ აღარაფერი ვთქვათ ძველ ქართულ წყაროებზე, XIII საუკუნის სომხი გეოგრაფის სიტყვებით, „აფხაზეთი არის საქართველოს უკიდურესი ზღვისპირა ნაწილზე, ხოლო XII საუკუნის არაბი ისტორიკოსის აბულ-ფედას ცნობით, სოხუმი - საქართველოს ქალაქია. ამ დროს მცხოვრები „სოხუმელი კათოლიკური ეპისკოპოსი ქვემო საქართველოსში, ე.ი. დასავლეთ საქართველოს, პეტრე პეტროვი აზუსტებს კიდევ, რომ ქალაქ სოხუმში ცხოვრობენ ქართველები.“

ქართული

საერთოდ, თუ თქვენ ნამდვილად გაინტერესებთ ამ ძველი ქართული პროვინციის ისტორია, გირჩევთ გამოიყენოთ აფტორთა კოლექტივის ფუნდამენტური, აკადემიური გამოკვლევა, რომელიც ემყარება არსებულ პირების წყაროებს („რაზისკანია პო ისტორიი აბხაზი, გრუზი“).

5. „მხოლოდ XIX საუკუნის შუა წლებში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის ტფილისის გუბერნიისთვის გადაცემის შესახებ“.

აქ ყველაფერი თავდაყირაა დაყენებული: 1858 წელს კავკასიის მეფის ნაცვლის ა. ბარატინსკის ბრძანებით, მდინარეების ფიაგდონისა და არდონის სათავეები - ნარის ქვაბული ჩრდილოეთ კავკასიაში, ძველი საქართველოს დვალეთის პროვინციის ისტორიული ტერიტორია, რომელიც ათასეული წლების განმავლობაში შედიოდა საქართველოს სამეფოში (რას შესახებაც მეტყველებენ ამ ხეობებში შემორჩენილი ციხე-სიმაგრეების ნარჩენები, რომელიც ხელს უშლიდებ ჩრდილოელი ბარბაროსების ცივილიზებულ სამხრეთ კავკასიაში შემოჭრას), ანექსის შემდეგ კი - თბილისის გუბერნიაში, ჩამოეჭრა საქართველოს და მიუერთდა „ოსეთის სამხედრო ოლქს“, რომელიც შეიქმნა ჩრდილოეთ კავკასიაში (იხ. ზ. ივანენ კო, გრაფადანსკოე უპრავლენიე ზაკავკაზიემ, ტიფლის. გვ. 450, 451). მიაქციეთ ყურადღება: არა „ჩრდილოეთ ოსეთის“, არამედ „ოსეთის სამხედრო ოლქს“! ეს კი ნიშნავს, რომ არავთარი სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული ერთეული არ არსებობდა (თავად ტერმინი „სამხრეთ ოსეთი გამოგონილია რუსეთის ჩინონიკების მიერ იმავე XIX საუკუნეში“).

6. „როდესაც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ რუსეთის იმპერია დაიშალა, საქართველომ გამოაცხადა საკუთარი სახელმწიფოს შექმნის შესახებ, ხოლო ოსეთმა ისურვა დარჩენილიყო რუსეთის შემადგენლობაში... 1918 წელს, ამასთან დაკავშირებით, საქართველომ მოაწყო იქ დამსჯელი ოპერაცია, ძალიან მკაცრი და 1921 წელს გაიმეორა იგნ.“

კვლავ ყველაფერი არეულ-დარეულია! თუ ოსეთმა რომელიც, როგორც ვიცით, იმყოფებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში და „მოისურვა დარჩენილიყო რუსეთის შემადგენლობაში, ეს მისი ნებაა, მაგრამ რა შუაშია აქ ტერიტორია, რომელზეც ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული ოსებიც ხოვრობდნენ ქართველებთან ერთად და ათასობით წლების განმავლობაში ეკუთვნოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობას!“

სინამდვილეში, 1918-1920 წლებში (და არა 1921 წელს), საქართველოს პირველი დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში, რუსი ბოლშევიკების ხელშეწყობით ამ რეგიონის ოსები სამჯერ აჯანყდნენ სოციალ-დემოკრატიული

მთავრობის წინააღმდეგ, აიღეს ქალაქი ცხინვალი და გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება. როგორ უნდა მოქცეულიყო, თქვენი აზრით, ბოლშევიკური აგრესიის საპასუხოდ საქართველოს ხელისუფლება. და თქვენ პირადად, ჩეჩენეთის ომისა და საქართველოს დღევანდელი ინტერვენციისა და ოკუპაციის შემდეგ გყიფნით, რბილად რომ ვილაპარაკოთ, სითამამე, ბრალი დასდოთ საქართველოს პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკას იმაში, რომ მან თავის ტერიტორიაზე მოაწყო „დამსჯელი ოპერაცია“ ბოლშევიკური ექსპანსიის წინააღმდეგ.

7. „როდესაც საბჭოთა კავშირი ჩამოყალიბდა, სტალინის გადაწყვეტილებით ეს ტერიტორიები (ე.ი. აფხაზეთისა და ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ოსეთისა“ - ავტ.) საბოლოოდ მიაწერეს საქართველოს. სტალინი, როგორც მოგეხსენებათ, ეროვნებით ქართველი იყო! ასე რომ ისინი, ვინც დაბეჭითებით მოითხოვს, რომ ეს ტერიტორიები კვლავაც განეკუთვნებოდეს საქართველოს, სტალინებული არაიან - ისინი იცავენ იოსებ ბესარიონის ძე სტალინის გადაწყვეტილებას“.

აქ კი ყველაფერი თავდაყირაა დაყენებული!

სტალინი შესანიშნავად იყო ინფორმირებული ქართველების უმეტესი ნაწილის არაკეთილგანწყობილი (მტრული!) დამოკიდებულების შესახებ ბოლშევიკების ხელისუფლებისადმი და საქართველოს ეს მიწები კი არ აჩუქა, არამედ საქართველოს სს რესპუბლიკის შემადგენლობაში შექმნა ავტონომიური წარმონაქმნი, როგორც დაყოვნებული მოქმედების ბომბები, რომლებიც უნდა ამოქმედებულიყვნენ, თუ ქართველები იღესმე გადაწყვეტილენ დამოუკიდებლობას. როგორც ცნობილია, ამ „ბომბებმა“ კარგად იმოქმედეს. ასე რომ, ამ წარმონაქმნა შექმნა საქართველოს წინააღმდეგ იყო მიმართული.

საჭირო არ არის მსმენელთა დაბნება იათფასიანი ინსინუაციებით, თითქოს „ეროვნებით ქართველზ სტალინი საქართველოსთვის ზრუნავდა! ჯერ ერთი, სტალინს, როგორც ეს კარგადაა ცნობილი, თავი მიაჩნდა არა ქართველად, არამედ რუსად. მეორეც, უნდა ვიცოდეთ, რომ გასული საუკუნის იმავე 20-იან წლებში სტალინის პირადი ინიციატივით, ისტორიულად საქართველოსთვის კუთვნილი მთელი ოლქები გადავიდა მეზობელ რესპუბლიკებში.“

8. როდესაც ომის მიზეზებს ასახელებდით, თქვენ განაცხადეთ: „ჩვენ წინასწარ უნდა გვეფიქრა იმის შესახებ, თუ როგორ უზრუნველგვევო ჩვენი სამშვიდობებისა და სამხრეთ ოსეთში მუდმივად მცხოვრები რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების უსაფრთხოება“.

აქ, ალბათ, იგულისხმებიან ის პირები, რომლებსაც რუსეთის ფედერაციის მთავრობა რუსულ

პასპორტებს გადასცემს. მაგრამ განა იფიქრეთ იმ რუსების შესახებ, რომლებიც ახლაც ცხოვრობენ საქართველოში. როდესაც თქვენი თვითმფრინავები ბომბავლენენ საქართველოს, თქვენ ფიქრობდით თქვენს თანამემამულებზე. როდესაც რუსეთიდან სდევნიან ქართველებს, სცემენ, ხოცავენ მხოლოდ ეროვნული კუთვნილების მიზეზით, ვინძებ იფიქრა იმის შესახებ, რომ ახლაც კი რუსეთ-საქართველოს გახურებული ომის დროს, მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვის, იმ ტერიტორიებზე თავდასხმის დროს, რომლებსაც უწოდებენ ე.წ. „კონფლიქტების ზონებს“, როდესაც ჩვენ გასაფლავებთ რუსების მიერ დახოცილ თანამემამულებს, საქართველოში არ ყოფილა და არც არის ანტირუსული გამოსვლები, არავინ არ წაუყენებს ადგილობრივ რუსებს პრეტენზიებს. ნუოუ არ არის საჭირო ამაზე დაფიქრება.

9. როდესაც კონფლიქტის დაწყების საკითხს ქებით, თქვენ აცხადეთ, რომ „ის წარმოიქმნა უახლოეს ისტორიაში ქართული მხარის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისათვის ავტონომიების უფლების ჩამორთმევის გამო. 1990 და 1991 წლებში საქართველოს ხელმძღვანელობამ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს ჩამოართვა ავტონომიების უფლება, რითაც ისინი სარგებლობდნენ ჯერ კიდევ საბჭოთა კაშშირის შემადგენლობაში, საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში, როგორც კი მიღებული იქნა ეს გადაწყვეტილება, უმაღლე დაიწყო ეთნოსთა შორის კონფლიქტი და შეიარაღებული ბრძოლა“.

სინამდვილეში ყველაფერი პირიქით იყო. 1990 წლის 20 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადგილობრივი ხელმძღვანელობამ გამოაცხადა „ავტონომიური ოლქის სამხრეთ

ოსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ“. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1990 წლის 21 სექტემბრის დადგენილებით გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსი (ლევან მატარაძე, „ქართულ-ოსური კონფლიქტის პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტების შესახებ... კრებული „ოსეტინსკიე ვოპროს“. თბ. 1994. გვ. 322- 324). 1990 წლის 25 აგვისტოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მიიღო „დეკლარაციააფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ“. 1990 წლის 26 აგვისტოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პეზიდიუმმა გააუქმა ეს დადგენილება (გ. შორიულიანი. აფხაზეთში კონფლიქტის ისტორიული და პოლიტიკური ფესვები. იხ. „რაზისკანია პო ისტორიი აბხაზიი (გრუზი)“. ტბ. 1999. გვ. 431).

ამრიგად, ყოველივე ზემო-აღნიშული, ჩვენი აზრით, აშკარად მიუთითებს თქვენი ცნობიერების სიღარიბეს და აჩვენებს თქვენი აზრის ღრმა შეცდომებს კავკასიაში „ხალხთა და ეთნოსთა შორის ურთიერთობათა წინაისტორიის“ შესახებ, რაც მხოლოდ შემენელთა დეზინფორმაციას ახდენს. თუ ამერიკულ ტელეკომპანია „სი-ენ-ენ“- სთვის მიცემულ ინტერვიუში თქვენ ჰქონით მოვლენებს, რაც უშუალოდ ხდებოდა კონფლიქტის მსვლელობის დროს, მაშინ ჩვენ სრული უფლება გვაქვს, არ დავუკეროთ არც ერთ თქვენ სიტყვას!

საერთოდ კი ხაზგასმით უნდა აღინიშნოს (და ამის შესახებ ჩვენ არაერთგზის განგვიცხადებია), რომ ქართველებს (მაგალითად, რუსებისგან განსხვავებით) არც ერთი მეტრი თავისი სახელმწიფო

ტერიტორიისა არ დაგვიპყრია ძალით. ამიტომ უფლება გვაქვს მოვითხოვოთ ჩვენი სახელმწიფო ტერიტორიის მთლიანობისადმი პატივისცემა და არავის აქვს სეცესიის უფლება.

რუსეთის ფედერაციის უმაღლესი მთავარსარდალი და თქვენი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლები ყოოჩიბენ, რომ რუსმა სამხედროებმა მოაწყვეს „ბრწინვალე კამპანია“. დაახ, ამ ომში თქვენ გაიმარჯვეთ, მაგრამ ძნელად რომ ამ გამარჯვებამ სამხედრო დიდება მოუტანის რუსულ იარაღს. ჯერ ერთი, როგორც ყოველთვის, თქვენი ძალა მხოლოდ ოდენობაშია. მაგრამ, დარწმუნებული იყავით, ათეული ათასობით ჰექტარი სპეციალურად გადამწვარი ტყეების მასივები, გადაბუგული ნათესები, ჯავშანტექნიკით გადათელილი სიმინდის ყანები, შმიერი ჯარისკაცების მართილორობა, რომლებიც შმვიდობიან მოსახლეობას ძარცვავენ, მიაქვთ ყველაფერი, უბრალო თეთრეულიდან დაწყებული უნიტებამდე - ბარბაროსული ინტერვენციაა, რომელიც შეიძლება საქართველოში თემურ ლენგის შემოჭრას შევადაროთ, ერთ-ერთ ყველაზე სამარცხინო ფურცლად დარჩება რუსი ხალხის ისტორიაში.

მარიამ ლორთქიფანიძე დავით მუსხელიშვილი

**საქართველოს ეროვნული
აკადემიის აკადემიკოსები**



ოჯოს თამარი
თარევათში

თურმინის ლიცვის კანი



საქართველოს ისტორიული ნაწილი, ტაო-კლარჯეთი, რამდენიმე საუკუნეა თურქეთის სახელმწიფოს ტერიტორიად ითვლება. მე-16 საუკუნის ბოლოს ოსმალეთმა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნეწილის 1160 ქართველი აღწერა და „გურჯისტანის ვილაიეთში ანუ ახალციხის საფაშოში გააერთიანა. მოსახლეობა აიძულეს სარწმუნოება შეცვალა და მუკამედის მოძღვრება ეღიარებინა. იქაურმა ქართველებმა არც შშობლიური ენა დაივიწეს და არც ქართული ტრადიციები. ბევრი ქართული ტაძარი ხელუხლებლად შემონახეს.

ტაოში თამარ მეფეზე ასეთი თქმულებაა გურულებული: ერთ-ერთი ბრძოლის დროს თამარ მეფე ჯარს ფეხშიშველი მიუძღვდა. პატარა ლაშა-გიორგი გულში ჰყოლია ჩახუტებული. თამარი დაღლილა და ბაგშვი ქვაზე დაუსვამს. დვთის ძალით ქვა დარბილებულა და ლაშა-გიორგის

ფეხების ნაგვალევი მასზე აღბეჭდილა. დღემდე, როცა იმ მთის გადასვლისას იღლებიან, ყრმა მეფის ნატერფალს ხელით ქებიან და ძალის მომატებას ევედრებიან. თურმე ეს ქვა მართლაც სასწაულებს ახდენს, ქართველს ძალას მატებს.

ტაო-კლარჯეთი ხანძთის, შატბერდის, ოპიზის, იშხნის, ოშკის, წყაროსთავის, ბანას, პარხლის მონასტერებითაა ცნობილი, რომლებიც შორეულ წარსულში ქართულ ქრისტიანულ-საგანმანათლებლო კერებს წარმოადგენდა. დღეს იქ წირვა-ლოცვა აღარ აღვლინება. ტაძრებისა და იქაური ქართველების შესახებ თითქმის არაფერი ვიცით.

გასული საუკუნის 90-იან წლებში ამ ადგილებში ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა შუშანა ფუტკარაძემიმოგზაურადაიქაური ქართველების დიალექტზე დაწერა წიგნი, რომელსაც „ჩვენებურების

ქართული“ უწოდა. პროფესორმა ტაო-კლარჯეთის მონასტრების დღვენდელ მდგომარეობაზე, იქ მოხდარ სასწაულებსა და თქმულებებზე გვიამბო.

ჩემს ბავშვობაში ზაფხულობით ბებიას მთებში, იალაღებზე დაცვავდი. ჩვენი სოფლის საზაფხულო საძოვრები აჭარა-შავშეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზეა შეფენილი. ბებიასაგან ვიცოდი, რომ უღელტეხილის იქითაც საქართველო იყო. ჩვენს მეზობლად ორი მოხუცი ცხოვრობდა, რომლებიც ტაო-კლარჯეთიდან, არტაკანიდან და შავშეთიდან იყვნენ გამოთხვილი. მათ არტაკანელ და შავშეთულ ნენეს ვეძახდით. ისინი ხშირად იცქირებოდნენ გადაღმამთებისაკენ და ტიროლენები. ბოლშევიკების მიერ „რკინის ფარდის“ ჩამოფარების შედევ ბევრი ვეღარ ნახულობდა მებს, მშობლებს, ნათესავებს.

1877-78 წლებში რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ ბევრი ქართველი თურქეთში

გადასახლდა, რაღაც რუსშა გენერალიტეტმა მუსლიმ ქართველებს საქართველოს დატოვება მოსთხოვა. იმ პერიოდში ემიგრაციაში მიღიონამდე ქართველი წარიდა. ჩემმა ბერძნა ნათესავმაც დატოვა საქართველო და თურქეთში გადასახლდა. კომუნისტური რეჟიმის დამყარების შემდეგ იქაურ ქართველებთან კაშირი შეწყდა. პირველად ჩემს ნათესავებს 1989 წელს შევხვდი. თურქეთში მე და ჩემი გოგონა წავედით. ნეიტრალურ ზონაზე რომ გადავდი. ჩვენს 65 წლის მამაკაცი წამოვიდა. არავინ მითხვას, სისხლის ყიფილი არ არსებობს. ვიგრძენი, სისხლი ქვემოდან ზემოთ როგორ წამოვიდა. გავექანე და უცნობ მამაკაცს ჩავეჭუტე. ორივემ უთქმელად ვიგრძენით, რომ ერთი სისხლი და ხორცი ვიყავით, ერთმანეთს ვეხვეოდით და ვტიროდით. მესახლევრები გაოცებულები გვიყურებდნენ. ჩემმა ნათესავმა უთხრა, არ გაგიკვირდეთ, 120 წლის დაკარგული სისხლი ვნახო.

იმ წელს თურქეთში სამი თვე დაცავი ქართველები მოდიოდნენ, თავის დებზე, ძმებზე, ნათესავებზე მეკითხებოდნენ, ძველ ტრადიციებს იხსენებდნენ. ერთმა ქალბატონმა ტირილით მითხრა, რატომ არ ჩამოდიოდით, ნუუჯ არ გენატრებოდით.

- ქალბატონო შუშანა, თუ ნახეთ, ტაო-კლარჯეთში დღეს ქართული ტაძრები რა მდგომარეობაშია?

- ბევრი ჩვენი ქრისტიანული ძეგლი საქართველოში გაცილებით საყალალო მდგომარეობაშია, ვიღრე თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ეკლესია-მონასტრები.

ქრისტეს შობიდან 2000 წლის აღსანიშნავად თურქეთის ხელისუფლებამ ქრისტიანი მლოცველებისათვის ტაძრებთან მისასვლელი გზები მოაპირეთა. გასულ წელს თურქეთის რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ დაბეჭდა წიგნი, სადაც ტაო-კლარჯეთის ისტორიული ძეგლები აღწერა. წიგნში ჩვენს ტაძრებზე წერია, რომ ისინი ქართველი მეფების მიერ არის აშენებული. ასეთი რამ აქამდე არსად დაბეჭდილა. ერთხელ სოფელ ტბეთში უსიამოვნო ფაქტი მომზდარა. არაქართველ მოსახლეობას ქართველებთან უჩხებდა. კამათის შემდეგ ერთერთ არაქართველს ტბეთის ტაძრის ერთი ნაწილი აუფეთქებდა. იმ საღამოს დიდი ქარიშხალი ამოვარდნილა, ხევი ფესვებიანად მოუთხრია, სახლებისათვის სახურავები აუხდია. ამ სასწაულს ყველა შეეშინება. დარწმუნებულან, რომ ის ადგილი წმინდაა. მოსახლეობამ ისიც იცის, რომ იმ ადგილიდან ერთი ნატეხი ქვაც არ უნდა წამოიღოს. განსაკუთრებით უფრთხილდებოდნენ წარწერიან ქვებს. ვინც ტაძრის ქვებს უპატივებლად მოქცევია, ყველა ოჯახი დაქცეულა. შატბერდის მონასტრის გვერდით ერთ კაცს სახლი აუშენებია და იგი სამჯერ დაწვია. სახლის პატრონს ავუჩხენი, ეს ღმერთის

ნიშანია, რაღაც სახლი ამ ადგილას არ უნდა აგეშენებინა მეთქი. შეწუხდა, რა იქნებოდა, ერთი წლის წინ გეთქვა, უკვე დაგმოთავრე ახალი სახლის შენებლობაო.

ოპიზის ტაძარი ექვთიმე თაყაიშვილის მოგზაურობისას კარგად ყოფილა შენახული. მიწისხერის შემდეგ კი დანგრულა. ტაძრის ქვები მეჩეთის ასაშენებლად გამოუყენებიათ. წარწერიანი ქვა მეჩეთშია მოყოლილი. სოფელი ფაქტობრივად დაცარიელებულია. მხოლოდ რამდენიმე ოჯახი ცხოვრობს. მოხუცმა კაცმა გვითხრა, ეკლესიის ქვები მეჩეთის ასაშენებლად რაც გამოვიყენეთ, სიკეთე ვერ ვნახეთ, სოფელი დაცარიელდა და მეჩეთი მრევლის გარეშე დარჩა, შევცდით, იმ ქვებით ისევ ტაძარი უნდა შეგვეკთუბინაო.

* * *

ხახულის ტაძარი ბაგრატ მესამემ მეათე საუკუნის დასასრულსა და მეორთემეტე საუკუნის დამდეგს ააშენა. იგი დღესაც კარგადა შემონახული. ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში ტაოს მოქცევის შემდეგ სოფელ ხახულის მოსახლეობა მუსლიმი გახდა. ტაძარში აღარ ღოცელობდნენ. ეშინოდათ, მუსლიმები ვართ და ქრისტიანულ ტაძარში რომ შევიდეთ ღმერთი დაგვსჯისო. ტაძარი დაუკეტავთ და წლების განმავლობაში კარსაც არ აღებდნენ.

გადმოცემის თანახმად, ერთი ქალი, რომელსაც მაპმადიანობა იძულებით ჰქონდა მიღებული, მდინარის ნაპირზე სილით ჯამ-ჭურჭელს ხეხავდა. ქალს უფიქრია, რა იქნება, ეკლესიის ზარების ხმა გავიგო ან ტაძრის კარი გაიღოს, შევიდე და იქ ვილოცოო. ამ ფიქრის შემდეგ ეკლესიის ზარების ხმა მართლაც ჩაესმა. უფიქრია, ღმერთო, იმის საშალებაც მომეცი, მარიამ ღვთისმშობელი ტაძარში ვადიდოო. ქალს ციდან ხმა ჩაესმა „ნუ გეშინია, დადგება ღრო ტაძარში შეხვალთ და ილოცებთ და ამის დასტურსაც იხილავთ, ეკლესია უპატრონოდ არ უნდა დატოვოთ“. ამის შემდეგ მართლაც მომხდარა სასწაული. ტაძარი მოხრილა, გუმბათზე აღმართული ჯვრის ქიმი იმ ქალის გასახებად გამოტანილი ტაფის ჩამოსაკიდ რგოლში გაყრილა და ისევ აღმართულა. ქალის ტაფა გუმბათზე დაეკიდა. იღუმალ ხმას ისევ უთქვამს „ეს არის დასტური, მრევლი დაგიჯერებს, ტაძარში შევა და ილოცებსო. ქალი სოფელში გაქცეულა, მეჩეთის ეზოში შეკრებილი ხალხისათვის უთქვამს, ჩვენ აქ არ უნდა ვიღოცოთ, ტაძარში უნდა შევიდეთ და ღმერთი იქ გადიდოთ. ქართველებიც ხახულის ტაძართ მისულან და სასწაული რომ უხილავთ, ქალისთვის დაუჯერებიათ, ტაძარში შესულან და ღოცელები აღუვლენიათ. ეს ამბავი ორი საუკუნის წინ მოხდა.

ექვთიმე თაყაიშვილი ტაო-კლარჯეთში მოგზაურობის შესახებ წიგნში წერს „ვინც ხახულის ტაძარში შევა, კარის უკან ნიში უნდა მონახოს, სადაც

ქართული

ჩუქურთმებით ღვთისმშობელია გამოსახული და იგი სასწაულმოქმედიათ. „ხახულში რომ ჩავედი, ტაძრის კარი ხოჯამ გაგვიღო“ - გვიამბობს ქალბატონი შუშანა, - გვითხრა, ვაშლსა და ნიგოზს დავკრუფ და გაგიმასპინძლდებითო. რომ წავიდა, დრო ვიხელოთ, ღვთისმშობელთან სანთელი დავანთ და ვილოცე. თან მეშინოდა, იმამს არ დაენახა და სანთელი არ ჩაექრო. ის კი თურმე ხედავდა, სანთელი რომ ავანთ. ეზოში რომ გამოვედი, მაღლობა გადამიხადა, ქალბატონო, კარგად მოიქეცით, სანთელი რომ აანთეთო. ეს კაცი წარმოშობით ქართველი გახლდათ. მან ერთი უცნაური ამბავი მიამბო: „წლების წინ ხახულის ტაძარი მეჩეთად იყო გადაქცეული. 10- 15 წლის წინ სოფელი რომ გაძლიერდა, ახალი მეჩეთი ააშენეს. ჩემი მრევლი იქ გადავიდა და მეც მრევლს გაყვევი, ეს ტაძარი კი დავკეტეთ. ახალ მეჩეთში პირველი ლოცვა რომ წარმართო, იმავე ღამით საშინელი სიზმარი დამესიზმრა „ხახულის ტაძარი ჩამოინგრა და ნანგრევებში მოვყევი. ერთი ფიქალი მკერდზე დამეცა. დიდი წვალების შემდეგ ამ ნანგრევებიდან თავი დავაღწიე. ერთი კვირის განმავლობაში ერთსა და იმავე სიზმარს ვხედავდი, თან იღუმალი ხმა ჩამდახოდა „ხახული უპატრონოდ არ დატოვო, შენ იქ უნდა ილოცო“. ბოლოს ისე შევწუხდი ამ სიზმრებით, რომ აგად გაჟხდი. მოვედი მრევლთან და ვუთხარი, სხვა იმამი აირჩიეთ, მე თქვენ ვეღარ გიწინაშძლვრებთმეთქი. ხახულის ტაძარი გაყადე და ლოცვები წავიკითხე. იმ დღის შემდეგ ტაძარს ყოველდღე ვაღებ და მარტო, მრევლის გარეშე ვლოცულობ“. ამ კაცმა მთხოვა: „ვიცი, ქართველები სხვადასხვა აღგილას დადიან, იქნებ ხახულშიც ჩამოიდნენ და ტაძარში შემოვიდნენ. ანტალიაში რატომ დადიან, აქ ხომ მათ დიდი სიწმინდე ელოდებათ? ღმერთს ყოველდღე ვევედრები: „ღმერთო, ჩემს შეილს ისეთი სიზმრები მოუვლინე, რომ ჩემი საქმე მან გაარძელოს. შხოლოდ იმას ვდარღობ, ჩემს შემდეგ ტაძარი ისევ არ გამოიკეტოს“.

* * *

ოშეი შედარებით დანგრეულია. ერთ ადგილას გუმბათია ჩამონგრეული. გუმბათის პერანგიდან ჩუქურთმები ჩამოშლილია, მაგრამ მოსახლეობას ისინი იქვე მიულაგებია. „ტაძარში რომ შევდით, გუმბათზე სამიმტრედი იჯდა, - ისევქალბატონი შუშანა გვიამბობს, - სანთლები აყნოთ, თან ერთი ქალბატონი მახლდა. გყაფრთხილე, სანთელს უდარაჯე, არაგინ ჩააქროს-მეთქი. ტაძრის სამონასტრო სასწაულებლის ნაშების დათვალიერება დავიწევ, რამდენიმე წუთში ჩემმა მხლებელმა ქალბატონმა დამიძახა. ქალბატონ შუშანა, სასწაულოდ მოდითო. მეგონა, სანთელი ჩავიკრეს. ტაძარში შევედი და საოცრება ვიზილე „სამი მტრედის ნაცვლად ტაძრის გუმბათში ასობით მტრედი დაფრინავდა და ღულუნებდა. სიცოცხლეში

არ დამავიწყდება ეს საოცრება. მაშინვე ვიფიქრე, ამ ტაძარში რამდენი წელია სანთელი არ ანთებულა, ღვთის წინაშე ლოცვა არ აღუვლენიათ და ალბათ ეს მტრედები აქ გარდაცელილი ბერებისა და საზოგადო მოღვაწების სულები არიანმეთქი. ოშეში ხომ გიორგი მთაწმინდელი, გრიგოლ ოშეგელი და ექვთიმე ათონელი მოღვაწეობდნენ. ახლაც მჯერა, რომ იმ დღეს მათი სულები ხარობდნენ“.

* * *

ქართველი პროფესორი საქართველოში რომ მოდიოდა, სოფელ მელოსთან, მდინარე ჭოროხზე კაშხლებს აგებდნენ, გზები გაჰყავდათ და აფეთქებები მიმდინარეობდა. მგზავრები გზაზე გააჩერეს და უთხრეს, საათნახევარი უნდა დაელოდოთ. ქალბატონმა შუშანამ სამრეკლო და ეკლესის ნანგრევი შენიშნა. მეგობართან გადაწყვიტა ეკლესის ნანგრევებთან ჩასულიყო და სანთელი აენთო. მივედით, სამრეკლო გავაღეთ, რომელიც მოსახლეს სათივედ პქონდა გამოყენებული. სანთელი აენთო, ვილოცეთ, რომ გამოვედით, ხურმის ტოტები ჩიტებით იყო დახუნძლული. რომ წამოვედით, ჩიტები უკან გამოგვყნენ. ცა გაშავდა, უკან იმდენი ჩიტი მოგვყენებოდა. იქაური მოსახლეობა გაოცებული გვიყერებდა, ამდენი ფრინველი ჯერაქარ გვინახავსო. ვუთხარით, იმ ადგილას სალოცავია, ფრთხილად იყავით, ცუდად არ მოექცეთ, არ დააბინძუროთ-თქმ-, გვითხრა ქალბატონმა შუშანამ.

* * *

შატბერდში ფორთას გავლით ავედით. იქ ერთი დიდი სალოცავია, სალოცავის წინ გრძელი საფლავის ქვაა. თქმულების მიხედვით, იქ დიდი პიროვნებაა დასაფლავებული, რომელსაც მირი ერქვა. იგი ავ სულებსა და ეშმაკეულებს ხოცავდა. ამბობენ, იმ ქვაზე ადამიანი რომ დაწვება, სიზმარს ნახავს, სიზმარში კი თავისი ავადმყოფობის წამალს ისწავლისო. შემდეგ ქართლის ცხოვრებაში ვნახერომ საქართველოში მართლა ცხოვრობდა ხალხის საყვარელი, ცნობილი გმირი - მირი. ჩვენმა მეგზურმა, რომელიც სოფელ კლარჯეთიდან იყო, თქმულება გვაძიო ნოეს კილობანსა და წმინდა ნინოს ცხოვრების შესახებ. ეს კაცი გვიმტკიცებდა - ნოეს კიდობნის კიჩო დღესაც არის კლდეში შესობილო. იქიდან შატბერდში ჩავედით. შატბერდის გუმბათის პერანგი სხვადასხვა ფერის ქვებითაა შემოსილი. ყველას ვუსურვებ, ამ ქვენიდან ისე არ წავიდნენ, შატბერდი შხის ჩასვლისას არ ნახონ. შხი რომ მიაღება ფერად ქვებს, საოცარი სანახავია. ეს ტაძარი თავის ღროზე გრიგოლ ხანთელის ლოცვა-კურთხვით აშენდა. წმინდა გრიგოლის მითითებით, იმ ადგილას წყაროც გამოუყვანიათ. წყაროს წყალი აგადმყოფებს კურნავს. ამ ადგილებში მოგზაურობისას ნიკო მარი ციებისაგან განიკურნა. თავის დღიურებში დიდი

მეცნიერი აღნიშნავს, ამ წყალმა
განძვერნაო.

ერუშეთში (ჩილდირი) ერთ
ციხესიმაგრეს ქაჯეთის ციხეს
უწოდებენ. შოთა რუსთაველის
ქაჯეთის ციხის მსგავსად მიუ-
ვალია. იქ მცხოვრებ ქართველს
ერთი თქმულება უამბია
ქართველი პროფესორისათვის:
ციხე-სიმაგრეში ორი ოთახია.
ერთ ოთახში თამარის საუნჯე
ოქრო-ვერცხლია მოთავსებული,
მეორეში კი ოქროს კუბო,
რომელშიც თამარი ასვენია.
ოქროს კუბო ცხენებშებმულ
ოქროსსავე ეტლზე დგვს. ეს ამბავი
მთხოვბელს მამისგან სცოდნია.
რომელიც ოურმე ქვეწებოდა, არ
დაგვიწყდეთ, თაობიდან თაობას
გადაეცით, იქნებ როდისმე
მოვიდნენ ქართველები და მათ
უამბეთო. გამოცემის მიხედვით
თამარი კუბოში უხრწელია.
ერუშელ ქართველს ქალბატონ
შუშანასთვის უთხოვია, იქნებ
ქართველი არქეოლოგები ოურქ
არქეოლოგებს შეუთანხმდნენ და
ეს ადგილი გათხარონ, მინდა,

ჩემს სიცოცხლეშივე ვიხილო ის
მეფე, რომელზეც ამდენ ლეგენდას
ყვებიან.

ტაოს ბუნება ხევსურეთისას
და ყაზბეგისას ძალიან ჰგავს.
დღემდე რამდენიმე სოფელში
სუფთა ქართულით მეტყველებენ.
ერთმა იქაურმა ქართველმა
მთქმელმა ქართველ პროფესორსა
და მის თანმხლებთ ქართული
დაუწუნა, უთხრა, მშობლიური
ენა დაგვიწყნიათ, როგორი
ქართულით საუბრობთ, ჩვენ თამარ
მეფის ენაზე ვმეტყველებთო.

არსებობს ლეგენდა, თუ
როგორ ააშენა თამარმა პარხლის
მონასტერი. თურმე მონასტერს
მრავალრიცხოვანი ჯარი აშენებდა.
ქვებს ხელით ეზიდებოდნენ.
მეფეს ჯარის გამოკვება ძალიან
გასჭირვებია. ერთ ადგილობრივ
აზნაურს ბევრი ცხეკარი და თხა
ჰყოლია. თამარ მეფეს მისთვის
უთხოვია, ჯარი გამომაკვებინეო.
ეს კაცი დათანხმებულა, მაგრამ
უთქვას, ამ სიმაღლე მთებიდან
რჩე როგორ ჩამოვიტანო.
თამარ მეფეს უბრძანებია
მეომრებისათვის, ხის ღარები

დაეშადებინათ. რძეს მთაში
რომ მოწველიდნენ, ხის ღარეში
ასხამდნენ და პარხალში ღარებით
ჩამოდიოდა. ეს ადგილი უწყლოა.
აქვთწყარო, რომელსაც სავრიათის
წყალს უწოდებენ. საოცარია მისი
ხილვა, რაღაც კლდე შუაშია
გაჭრილი და იქიდან მოდის წყალი,
რომელიც წისქვილებს აბრუნებს.
გაღმოცემის თანახმად, თამარს
უთქვამს, ყველაზე ძნელი ჩემთვის
საგრიათის წყალის გამოყვანა იყო,
ჩემი ყველა სამკაული გავყიდვ,
ბოლოს თმის ოქროს სარჭი
მქონდა და ისიც ფულად ვაქციე,
რომ ეს წყალი გამომყევანაო.
ტაოში თამარს აღმერობენ.

ასეთი ლეგენდაც არსებობს:
ერთ-ერთი ბრძოლის დროს
ჯარს თამარი მიუძღვოდა.
უცებ მაღალ მთას უზარმაზარი
კლდე მოსწყდა და დაგორდა.
თამარს ღმერთისათვის უთხოვია,
ღმერთო, ჯარი არ დამიხოცო,
ჩაქოლვისაგან დამიფარეო.
როგორც კილოცვა დაუმთავრებია,
კლდე გაჩერებულა. დღესაც
არ იციან, კლდეს იმ ადგილას
რა აჩერებს. უზარმაზარი ქვა
ფაქტობრივად ჰაერში კიდია.

ინფორმაცია

**Au-Pair -ის პროგრამით ჩამოსულ ახალგაზრდებს, რომლებსაც აქვთ
შეკითხვები მათი უფლება-მოვალეობების შესახებ, შესაძლიათ
დაუკავშირდნენ სათვისტომოსითაც არსებულ
არქეოლოგებს შეუთანხმდნენ და
ეს ადგილი გათხარონ, მინდა,**

0176 23346015 (პარმენი),
0176 22640247 (თონათონი),
0179 4998874 (ნინო)

ან ელექტრონული ფოსტი:

info@satvistomo.de

წილი მომსუბუქი

ელბაქიძის დაღმართხე, ერთ პატარა, მაგრამ მყუდრო სახლის კარზე ზარი დაირცა.

ამ სახლში ჯავახიშვილები ცხოვრობდნენ. მათი თანაცხოვრება ოჯახური იდილიის მაგალითად შეიძლება ჩათვალოს. მწერალი, მიხეილ ჯავახიშვილი, მოსიყვარულე მეუღლე და მამა, სტუმრებს ყოველთვის სიხარულით ხვდებოდა. მათთან ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები ხშირად იკრიბებოდნენ. პრეფერანსს თამაშობდნენ, საუბრობდნენ ხელოვნებაზე, სხვა საჭირობო ორგანიზაციები, მხიარულობები; პიანის მიუსხდებოდნენ, ამღერდებოდნენ. საღამოობით კი რუსთაველის გამზირზე სეირნობდნენ. შეზარხოშებული ილო მოსაშვილი მიხეილს ხშირად ეუბნებოდა, მიხო, უშენოდღმერთმა ერთი დღეც არ მაცოცხლოს. მათ წრეში განსაკუთრებულ ყურადღებას გრიგოლ რობაქიძის რუსი მეუღლე, ლენა იქცვდა. თვალისმომჭრულად ლამაზი, დახვეწილი და ელეგანტური, ყოველთვის სასურველი სტუმარი გახლდათ. ჯავახიშვილებთან სიახლოე ყველასთვის პატივი იყო.

ახლა კი, ამ ოჯახში ცოდვის ბრალი ტრიალებდა. კარის გასაღებად ლუბა ჯავახიშვილი გაემართა, მომხიბლავი ქალბატონი, რომელიც თავისი პუმანურობით და დახვეწილი ჩაცმა-დახურვით ქალაქში ცნობილი იყო. ის და მისი ქალიშვილები ტანსაცმელს სახელგანთქმულ საშა მკერავთან იკრავდნენ. ყოველი ახალი შენაძენი პირველად ოჯახის

უფროსს უნდა შეეფასებინა. როგორი დაკავებულიც არ უნდა ყოფილიყო, კალამს გვერდით გადაღებდა, სათვალეს გაიკეთებდა და საყურებლად მოემზადებოდა. შემდგე ჩახველებდა, მის წინ მოტრიალე საყვარელ მანდილოსნებს, ხუმრობის ხასიათზე მოსული, ღიმილიანი სახით შეჰქერებდა და ქათინაურებით ანებივრებდა. კარგი გემოვნება პქონდა, ყველაფერი სადა და ელეგანტური მოსწონდა. ზაფხულობით ტილოს თეთრ პიჯაკს, ზამთარში კი მუქი ფერის ტანსაცმელს ატარებდა. ჰალსტუხს მხოლოდ სახლში, ოჯახის წევრებთან იხსნიდა. ეტიკეტი ყოველთვის ყველაფერში დაცული უნდა ყოფილიყო.

ქალაბატონმა ლუბამ კარი უხალისოდ გააღო და იკივლა...

მიხეილ ჯავახიშვილს მოღვაწეობა იმ პერიოდში მოუხდა, როცა რეჟიმის წინააღმდეგ კალმით გამოსვლაც დანაშაული იყო.

მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლეშივე ხალხის უსაყვარლესი მწერალი გახდა, მისი ცხოვრების გზა ია-ვარდით არასდროს ყოფილა მოფენილი. ცილისწამება, შური, ინტრიგები, უნდობლობა, გაუგებრობა, ბოროტება - მისი ცხოვრების თანამდევი გახდა. სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისას პოლიტიკამ გაიტაცა, რამაც, საბოლოოდ 1937 წლის სისხლიანი მოვლენების ეპიცენტრში აღმოაჩინა.

1904-1907 წლებში ფედერალისტთა პარტიაში ირიცხებოდა, 1921 წლიდან კი სოციალ-დემოკრატებს შეუერთდა, თუმცა

მალევე პარტიის ლიკვიდაცია მოხდა და მისი ყველა წევრი, მიხეილ ჯავახიშვილის ჩათვლით, დააპატიმრეს. მწერალი ორთაჭალის ციხეში აღმოჩნდა. ციხის გვერდით გაშენებულ ბაღში პატარა სახლი იყო ჩადგმული. ბაღი მაღლობზე იყო და ციხეს საკნების მხრიდან გადაჰყურებდა.

მიხეილს მეუღლემ შეატყობინა, რომ სურსათის შეტანისთანავე ბაღში გადაეხედა. ისიც გამხდარი და ფერმკრთალი, ღიმილიანი სახით ფანჯარას მიადგებოდა, აცრემლებულ ცოლ-შვილს ხელს დაუქნევდა და მეოთხე სართულიდან ნაწყვეტ-ნაწყვეტ ფრანგულად ელაპარაგებოდა.

პატიმარი ჯავახიშვილი დიდხანს იყო უარზე და გამომძიებლის მიერ შეთხებულ ოქმს ხელს არ აქერდა. მეუღლესთან ბოლო ვიზიტის შემდეგ, საკანში დაბრუნებულს, ქალის საშინელი კივილი შემოესმა, კარს გაგიჟებული მივარდა და დაინახა, როგორ მიათრევდა



მიხეილ ჯავახიშვილი

რამდენიმე კაცი ქალბატონს, რომელსაც ისეთივე კაბა ეცვა, როგორიც მის მეუღლეს. იფიქრა, რომ მისი ცოლი დაკითხვაზე შეჰყავდათ და აწამებდნენ. კარს მუშტები დაუშინა, მისულ ზედამზედველებს თვითონ სთხოვა და ჩვენებას ხელი მოაწერა. მაშინ ვერ მიხვდა, რომ ყველაფერი მხოლოდ დადგმული სკექტაკლი იყო. განაჩენი მკაცრი აღმოჩნდა, მას დახვრუტა მიუსაჯეს.

ჯავახიშვილი სიკვდილმისჯილთა საკანში გადაიყვნეს, საიდანაც პატიმრები განჩენის სისრულეში მოსაყვანად ღამის სამ-ოთხ საათზე გაჰყავდათ. ამ ამბებს ინტელიგენციის სუკეთესონაწილი შეეწირა. მწერალი, ალსარულის მოლოდინში, ღამებსთორად ათენებდა, განთიადსფეხებებოდა და უხაროდა, რომ კიდევ ერთი დღე იცოცხლა. თავისი ტანსაცელი და ცოტაოდენი ბარები, რაც საკანში გააჩნდა, ბოხჩაში შეკრული, წინასწარ გააძიადა და ზედამზედველებს სთხოვა, სიკვდილის შემდეგ, მისი ცოლისთვის გადაეცათ. იმ დამეს, როცა განაჩენი უნდა აღესრულებინათ, ბოხჩა ფონჯრის რაფაზე შემოდი, იმ გზას გახედა, უკანასკნელად ცოლ-შვილი რომ დაინახა, მოლოდინში, ფიქრებში წასულმა თავი ბოხჩაზე ჩამოდო და როცა მზის სხივებმა გამოაღვიძეს, მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა.

1923 წლის 3 აგვისტოს, ელბაქიძის დაღმართზე,



მიხეილის მეუღლე ლუბა ჯავახიშვილი

საკუთარი სახლის ზღურბლთან, ლუბა ჯავახიშვილი ხან ტიროდა, ხან - იცინოდა, მის წინ ხომ მიხეილი იდგა - ბოხჩით ხელში.

როგორც გაირკვა, მიხეილ ჯავახიშვილის სიკვდილით დასჯის ამბავს, ქართული საზოგადოება აუღელვებია. პავლე ინგოროვა, ნიკოლოზ ყიფშიძე და კიდევ რამდენიმე გამოჩენილი პიროვნება სერგო ორჯონიკიძეს მიხეილ ჯავახიშვილის შეწყალების თხოვნით ეწვია. მან მისი „ბუნებიდან გამომდინარე“, შეიბრალა და რეზოლუცია მაშინვე გააუქმებინა.

მწერალი ექვსთვიანი პატიმრობის შემდეგ გაათვისუფლეს.

ცამეტი წლის შემდეგ, საქართველოს გასაბჭოების მეთხუთმეტე წლისთვის დაკავშირებით, კრემლში, მიხეილ შრომის წითელი დროშის ორდენით რომ აჯილდოვებდნენ, ხელი ჩამოართვა მთავრობის ყველა წევრს, სერგო ორჯონიკიძესთან კი მცირე ხნით შეჩერდა და უთხრა:

- მე თუ დღეს ცოცხალი ვარ, თუ მწერალი გავხდი და ეს ჯილდო დავიმსახურე, თქვენ უნდა გიმადლოდეთ!

ნიკოლოზ ყიფშიძეს მისთვის 1923 წლის ამბები რომ არ გაქსენებინა, ოჯორნიკიძე ვერასოდეს მიხვდებოდა, თუ რატომ უხდიდნენ მადლობას. ეს ამბავი დიდი ხნის დავიწყებული პქონდა.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ ჯავახიშვილმა პარტიულ საქმიანობას თავი დაახება და ლიტერატურულ ცხოვრებაში ჩაება.

მეოთხელს მისი შემოქმედება მოსწონდა და მალევე ძალიან პოპულარული გახდა, თუმცა ჯავახიშვილის ნაწარმოებები ტენდენციური, არაობიერებური, პარტიული ლოზუნებით გაფლენილი, ტრადიციების უარმყოფელი და უფროსი თაობის მწერლებისადმი დაუნდობელი კრიტიკის ქვეშ აღმოჩნდა. ამ ხალხს ძალაუფლება ხელისუფლებამ და პარტიამ მისცა. ისინი ანადგურებდნენ ყველაფერს, რაც მათი იდეოლოგიისათვის მიუღებელი იყო. პარტიულ მანდატს ეფარებოდნენ და მთავრობის მიმართ ერთგულებას თავიანთი საჯარო გამოსვლებით ამტკიცებდნენ. კულტურითა და სწავლა-განათლებით ნაქებ ძველი თაობის მწერლებს თავს ესხმოდნენ, შეურაცხეოფდნენ. მიხეილ ჯავახიშვილი კი ქედს არავის წინაშე იხრიდა, დიპლომატიური მიდგომა აკლდა, გამომწვევადაც კი იქცეოდა.

ხასიათის სიმტკიცის მიუხედავად, სუსტი და გამხდარი იყო. ბეჭედში ოდნავ მოხრილი დადიოდა, ხელჯონით. სათვალეს ატარებდა. ყურადღებას დახვეწილი, ინტელიგენტური მანერებით იყრინდა. დარბაისლური, ბოხი ხმით ლაპარაკობდა. დიდი სიმპატიით სარგებლობდა ქალთა საზოგადოებაში, მასაც უყვარდა ლამაზი ქალები, მათოვის ქათინაურებს არასდროს იშურებდა.

ქართვლი

მისი ყოველი ახალი ნაშუშევარი საზოგადოების მითქმა-მოთქმის ობიექტი ხდებოდა. სექსი და ინტიმური დეტალები, რომლებიც მის შემოქმედებაში გამოჩნდა, გახდა საბაბი, რომ მწერლისთვის უხამსის და უზნეოს იარღიყი მიეწეობინათ. განსაკუთრებით მწავე რეცეპტიები “ჯაყოს ხიზნებზე” დაიწერა.

იმდროინდელი კრიტიკოსის, ს. ჭანტურაშვილის, რეცეპტიაში ვკითხულობთ: “და ჩვენ ვეკითხებით მიხეილ ჯავახიშვილს, ნუთუ ის სერიოზულად ფიქრობს, რომ ქალის გრძნობებისთვის საქმარისია მამაკაცის ფიზიკური ღონება და საღისტური “დაბუნება” ისეთი ნადირის მიერ, რომელიც არა თუ სულიერად, არამედ გარევნულადაც არ გავს ადამიანს, აქეს თუ არა ჯავახიშვილს წარმოდგენილი, რომ ქალის სქესობრივი წყურვილი, იგივე დელობრივი ინსტინქტია, რომელიც ამაღლებს და აკეთილშობილებს ქალის ბუნებას და არ აგდებს მას იმ წუმპეში, რომელშიც სცურავენ მისი გმირები. ჯავახიშვილი კი თავის რომანში საღისტური მიღრეკილებებით ქავება ამ მომენტებს და სქესობრივ აქტებს სთვლის უმთავრეს მამოძრავებელ ძალად მისი და ქალის ცხოვრებაში.

როგორც ჩანს, არც მკითხველი იყო ამ ყველაფრისთვის მოშადებული. კონსტანტინე ჭიჭინაძე სწერდა ჯავახიშვილს, ერთი ლამაზი ქალიშვილი, რომელსაც ძალიან უყვარს სხვების გასაგონად ხმამაღლა კითხვა, გთვლის: ჩემო ბატონო, თქვენი მოთხოვების კითხვა მიტაცებს მეტად, მაგრამ ბევრი გასაწითლებელი მომენტები გვხვდება შიგო.

პროლეტარულ მწერალთა პლენუმზე ჯავახიშვილის პოლიტიკური შეხედულებების განხილვა დაიწყო. ტონის მიმცემი ბენიტო ბუაჩიძე გახლდათ:

- “ჯავახიშვილმა დაბეჭდა “დამპატიუ”, რომელიც სრული გამომხატველია ყოველგვარი ავთვისებისა და წარმოადგენს ერთგვარ დამახინჯებას საბჭოთა საქართველოს სინამდვილისა. აქვამოვებანილია, ვითომ არსებობდეს ერთგვარი კადრი პროლეტარიატისა, რომელიც უსინდისოდ ყვლეფს სოფელს და თუ დღემდე სოფელს ყვლეფდა მებატონე, დღეს მას ყვლეფს ბოგანო პროლეტარიატი. აი, ეს არის საგრძნობი. ეს ყველაზე საგრძნობლად ახასიათებს მწერლის პორნოგრაფიულ ნაწარმოებებს: “მუსუსა”, “ოქროს კბილი”, “პატარა დედაკაცი”. ჯავახიშვილზე იმიტომ ვლაპარაკობ ასე, რომ სამწუხაროდ მას ერთ-ერთი დიდი ადგილი უჭირავს ჩვენს მწერალთა შორის და მის განწყობილებას და ტენდენციებს საშიში ხასიათი აქვს.” მან ქართულ ლიტერატურაში ბურჟუაზიული და თანამგზავრული ფენები გამოყო. ჯავახიშვილისგან მტრის ხატი იქმნებოდა. ტიციან



მიხეილ ჯავახიშვილი

ტაბიძემ და კონსტანტინე გამსახურდიამ მისი დაცვისთვის პლენუმის მონაწილეთა რისხება დაიმსახურეს. მიზანში ამოიღეს გრიგოლ რობაქიძეც, რომელიც მიხეილ ჯავახიშვილთან მეგობრობდა, იმის მიუხედავად, რომ ჯავახიშვილი მის შემოქმედებას, განსაკუთრებით კი მის ქართულს, მუდმივად აკრიტიკებდა.

გრიგოლი ჯავახიშვილების მახლობლად, პატარა ორსართულიან სახლში ცხოვრობდა, რომელიც მწვნები იყო ჩაფლული. ეს იყო ვეროპული სტილით ნაგები პატარა კოტეჯი. თვითონ გრიგოლი ნამდვილი ინტელიგენტი გახლდათ და გარევნობითაც ვეროპულს წაგვადა. საშუალოზე მაღალი, ელეგანტური, ვეროპულ ყაიდაზე, მუდმივად მოღურად ჩაცმული, ქართველი მწერლებისგან გამოირჩეოდა. 1930 წელს გერმანიაში წავიდა, სადაც შეიტყო, რომ დაბრუნების შემთხვევაში ბერია მის დაპატიმრებას აპირებდა. იქ დარჩა და მაშინ დამთავრდა ჯავახიშვილების და რობაქიძეების მეგობრობაც. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზე მისი საქციელი სასტიკად დაგმეს. მიხეილმა მასთან მიმოწერა შეწყვიტა.

მწერალი ყოველ დილით ადრიანად იღვიძებდა, აიგანზე გასული, თუ ბერიას დაინახვდა, მაშინვე

ოთახში ბრუნდებოდა, ხასიათი უფუჭდებოდა. ბერიას სახლი მიხეილ ჯავახიშვილის მეზობლად იღვა, მათი აიგნები ერთმანეთს უყურებდა. ერთხელ, თეატრში, ანტრაქტის დროს, ნინა ბერია მიხეილთან მივიღა, მოიკითხა და უსაყვედურა:

-ბატონო მიხეილ, რა არის, რომ ჩვენ არ გვადრულობთ, ერთხელ არ გვესტუმრებით, ერთმანეთთან კი ასე ახლოს ვცხოვრობთ. ჩვენ თქვენი დიდი პატივისმცემლები ვართ და გვწყინს, რომ თქვენ განზე დგახართ და არა გვადრულობთ. ლავრენტი პავლოვიჩი ღამე სამუშაოდან დაღლილი რომ მოდის, მე მას სამ-ოთხ საათამდე თქვენს არსენას ვუკითხავ ხოლმე. ძალიან მოსწონს თქვენი რომანი. გთხოვთ, ერთხელ მაინც მობრძანდით ჩვენთან.

ლუბამ მეუღლეს მისვლა ურჩია, მაგრამ მიხეილმა მოკლედ მოუჭრა: “რა ვქნა, მე მაგათ გუნდრუს ვერ ვუკმევ, არ შემიძლიან!”

საერთოდ, ბერიას ქართულ ინტელიგენციასთან ახლო და მეგობრული ურთიერთობა სურდა. ხვდებოდა, რომ ჯავახიშვილს შეეძლო მისი კრემლისკენ წინსვლა შეეფერხებინა და მასთან დაახლოებას უშედგოდ ცდილობდა. ყველას იშორებდა, ვინც მისი წარსულის შესახებ რაღაც იცოდა, ჯავახიშვილიც მიზანში ამოიღო, მის ყოველ ნაბიჯს აკვირდებოდა. მათ შორის ურთიერთობა ხელ-ნელა დაიძაბა.

1836 წელს მწერალმა “ქალის ტვირთის” დაბეჭდვა დაიწყო. ვ. ერმილოვმა ურჩია, რჩევებისთვის ამიერკავკასიის ბოლშევიკების ისტორიის კარგი მცოდნისთვის, ლავრენტი ბერიასთვის მიემართა. მიხეილმა ამის გაკეთება საჭიროდ არ ჩათვალა, რამაც ბერიას გულისწყრომა გამოიწვია და მწერალს უსაყვედურა.

ამ ამბიდან მალევე, ბერიამ საკუთარი ინიციატივით განკარგულება გასცა, რომ თბილისში მეტების ეკლესია დაენგრიათ. ამ ფაქტმა ქართული ინტელიგენცია აღაშფოთა. მიხეილ ჯავახიშვილმა, რამდენიმე მწერალთან ერთად, ბერია აიძულა, მის მიერვე მიღებული რეზოლუცია გაექმებინა. ბერია ჯავახიშვილს დაემუქრა, რომ მას ამ საქციელს არასდროსაპატიებდა. მათი ურთიერთობა კიდევ უფრო დაძაბა ენის სიწმინდის საკითხებთან დაკავშირებულმა გაუგებრობამ. ბერიამ სამეცნიერო ცენტრების იგნორირების ფონზე ქართული მეტყველებიდან ერთ-ერთი ასო გააუქმებინა. ჯავახიშვილმა მომხდარის შესახებ სტალინს აცნობა. მალევე, საქართველოს აკადემიის ფილიალმა სტალინის პასუხი მიიღო, რომელიც მიხეილ ჯავახიშვილის ფორმულირების სიმართლეს აღასტურებდა და მისი აზრის სისწორეს იზიარებდა. შეურაცხყოფილმა ბერიამ ჯავახიშვილი თვისთან დაიბარა და განრისხებულმა ჰკითხა, თუ



ჯავახიშვილი თავის ქალიშვილთან ქეთევანთან ერთად

რატომ ჩართო საქმეში სტალინი და ყველაფერი პირადად მასთან არ გაარკვია. ჯავახიშვილმა აუხსნა, რომ მისგან საქმის სამართლიან გადაწყვეტას არ მოელოდა.

1937 წლის ივნისში, საქართველოს კომპარტიის ყრილობაზე მოხსენებით ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლავრენტი ბერია გამოვიდა და თავის სიტყვაში ჯავახიშვილიც მოიხსენია.

საქმე ცუდ მიმართულებას იღებდა.

გაიმართა პრეზიდიუმის სხდომა, ჯავახიშვილს თავის “ცოდვები” უნდა მოენანებინა, წარსული დაეგმო და “შეცდომების საჯაროდ ეღიარებინა. ბრალდებები საგანგებოდ იყო შეთხზული. მწერლები მგლების ხროვას ჰგავდნენ, რომელთა სამსჯავროზეც მსხვერპლად შესაწირი ადამიანი იღვა.

მიხეილს ანტისაბჭოთა ქმედებებში ადანაუშაულებდნენ. ბრალი დასდეს, რომ მწერლები, რომლებიც მასთან სახლში იკრიბებოდნენ, შეთქმულებისთვის ემზადებოდნენ და რეჟიმის წინააღმდეგ ფარულად იბრძოდნენ. ჯავახიშვილი თავის მართლებას არ აპირებდა.

პალლო იაშვილი ბერიამ თავისთან დაიბარა, იქიდან წამოსულმა პოეტმა სახლში გაიარა, თოფი აიღო, ცოლს დაუბარა სანადიოროდ მივდიგარო და მწერალთა კავშირს მიაშურა, სადაც კვლავ ბერიას მიერ ნახსენები “მოღალატე მწერლების” საკითხი განიხილებოდა, მიხეილ ჯავახიშვილს გვერით

ქართველი

მიუჯდა.

- რა იყო, რა გითხრა ბერიამ? - გამოელაპარაკა ჯავახიშვილი.

- საიმისო არაფერი... მალე დაგიმტკიცებთ, რომ არც ისე ცუდი კაცი ვარ, თქვენ რომ გგონიათ. - ჩაილაპარაკა და დარბაზიდან გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ, თოფის გასროლის ხმა გაისმა. კრება აიშალა და შეშინებული ხალხი ზემოთა სართულისკენ გაიქცა. დერეფანში, იატაკზე პაოლო იაშვილი სისხლში ამოსერილი იწვა. თავი მოიკლა. სამარისებურ სიჩუმეში დემეტრაძის ხმა გაისმა:

- ისეთი არაუერი მომხდარა, წავიდეთ, კრება გაყაგრძელოთ!

ყველა დაემორჩილა. დარბაზში ჩავიდნენ და სხდომა განახლდა, თითქოს ჩიტი მომკვდარიყოს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ბერიას მისთვის ჯავახიშვილის და ტიციან ტაბიძის წინააღმდეგ ცრუ ბრალდების დაწერა უთხოვია.

დღიდი ხანი არ იყო გასული, რომ მიხეილის მმა ფიდო, ტიციან ტაბიძე და კიდევ რამდენიმე მწერალი დააკავეს.

დადგა აგვისტო. თბილისის ცხელ ამინდებს ჯავახიშვილებმა თავი ქვიშეთში შეაფარეს, სადაც მწერლები ყოველ ზაფხულს ერთად მიდიოდნენ და მხიარულობდნენ, გვიან დამემდე ნარდს თამაშობდნენ, ხეივანში დასეირნობდნენ, ლიტერატურულ საკითხებზე კამათობდნენ. ქეთო ჯაფარიძე, იმ დროისათვის ყველაზე პოპულარული მომღერალი, არაჩეულებრივი სიმღერებით ანებიერებდათ. იმართებოდა საღამოები, რომლებშიც მწერლები და მწერალთა სახლის დამსვენებლები მონაწილეობდნენ. ახლა კი, ღამით, მიხეილ ჯავახიშვილი უფროს ქალიშვილთან ერთად, სახლის წინ ბაღში იჯდა, სევდიანი ცას გაჰყურებდა და დანა პირს არ უხსიდა.

- მამა, რა ხდება ჩენს ირგვლივ, ამ ამბეჭხე შენ რას ფიქრობ?

- ვერაფერს გეტყვი, მე თვითონ აღარაფერი გამეგება რა. - უპასუხა და ციდან მოწყვეტილ ვარსკვლავს თვალი გაყოლა... ცუდად ენიშნა.

მეორე დღით, 1937 წლის 14 აგვისტოს, მძინარე ჯავახიშვილს თავს ორი ჩეკისტი დაადგა. “თქვენ დაპატიმრებული ხართ!” მწერალი უჩეულო სიმშვიდით წამოდგა. პანიკაში ჩავარდნილ ქალიშვილს მწერალთა კაგშირის მიერ ნაჩუქარი სოჭის სანატორიუმის საგზური გადასცა და სთხოვა, უკან დაებრუნებინა. სომქმა ჩეკისტმა გარედან დაიძინა: “Отберите у этого негодяя орден!” წინააღმდეგობა არ გაუწევია... მას შემდეგ მიხეილ ჯავახიშვილის შესახებ არავინ არაფერი იცოდა.

17 აგვისტოს მწერალთა კაგშირის პრეზიდიუმის

სხდომაზე მკაცრად დაგმეს ჯავახიშვილის პიროვნება, მწერლები კავშირის რიგებიდან მის გარიცხვას და ფიზიკურ განადგურებას მოითხოვნენ. ტაბუ დაედო მის შემოქმედებას, მისი წიგნები საჯაროდ დაწვეს. აიკრძალა ჯავახიშვილის ხენებაც კი. ქონება დააყადალეს. ქალაქში ამაზრზენი ჭორები გაავრცელეს. „ხალხის მტრის” შეილები სასწავლებლებიდან გარიცხეს. ოჯახის წევრები საშინელი რეპრესიების ქვეშ აღმოჩნდნენ, ბინა ჩამოართვეს, მხოლოდ ყოფილ სასალილო ოთახში ცხოვრების ნება დართეს. მათან ურთიერთობას ძველი და ახლო მეგობრებიც გაურბოდნენ... უამრავი დამცირების და შეურაცხოფის ატანა უწევდათ... ქალბატონ ლუბას პურის რიგში დგომისას უცხო ქალბატონმა გადაულაპრაკა, მიხეილ ჯავახიშვილი დაუშვრიათ, ნატახტარის წყალსაღენის მოწამელა სღომებიათ. მას შემდეგ სახლიდან აღარ გასულა.

შინსახომელებმა ქონების აღრიცხვა დაიწყეს. რამდენიმედღიანი მუშაობის შემდეგ, მათი წასვლის ღრო რომ მთახლოვდა, უკრაინელმა ჩეკისტმა ქეთებანი გვერდით ჩუმად გაიხმო, ბოლიში მოუხადა შეწუხებისთვის და სთხოვა, სამახსოვროდ მამამისის რომელიმე წიგნი ეჩუქებინა. ქეთებანი აქვითონდა და “არსენა მარაბდელი” გაუწოდა. ეს იყო უზომოდ გაბედული ნაბიჯი, შეიძლება ითქვას - თავზე ხელაღებული საქციელიც.

წლები გადიოდა, თერთმეტი ქვეების ჯაშუმობაში “მხილებული” მწერლის ოჯახს იმედიათად თუ ვინმე გაიხსებდა. ერთ საღამოს, მოულოდნელად, ჯავახიშვილების ოთახის კარი გაიღო და გერონტი ქიქოძე, გოგლა ლეონიძე და ლეო ქიახელი შევიდნენ. უხმოდ, როგორც პანაშვიდძე, სკამებზე ჩამოსხდნენ. თვალებზე ცრემლები მოადგათ, ქალებიც აქვითონდნენ. შემდეგ აღგნენ და ხმის ამოუღებლად ოთახიდან გავიდნენ. უდანაშაულო მწერლის ოჯახს ბევრი თანაუგრძნობდა, მაგრამ შორიდან... ისე, რომ ვერავის გაეგო. მიხეილ ჯავახიშვილის ბედის შესახებ კი ისევ არავინ არაფერი იცოდა.

ლუბამ ტანსაცმლის მალულად კერვა დაიწყო, თუმცა მეზობელმა, ვინმე ბეთანელმა, ფინგანს შეატყობინა და 12.000 მანეთით დააჯარიმეს. ხუთწევრიანი ოჯახის რჩენა მიზერული ხელფასით უფროს ქალიშვილს, ქეთებანს უწევდა.

ჩვიდმეტი წელი გავიდა.

1954 წელს ჯავახიშვილებთან ტიციანის მეუღლე ნინო ტაბიძე მხიარული შეძახილებით, ხმაურით შევარდა, წითელი ყელსახვევი მოიხსნა, ჰაერში ააფრიალა და დაიყვირა:

- გილოცავთ, ბერია აღარ არის ამქვეყნად!

და მოჭარბებული ემოციების გამო გული წაუკიდა. შემდეგ ქუჩაში გაცვიდნენ, ძველებურად ამაყები,

თავშეულები, ტიროდნენ და იცინოდნენ. ქეთევანს მამის დაბრუნების მედი გაუწნდა.

ბერიას გარდაცვალებიდან მალევე, დღის წესრიგში მიხეილის, ტიციანის და პაოლოს ოებილიტაციის საკითხი დადგა. საქართველოს მწერალთა მეოთხე ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა ვასილ მეუანაძე. მისი თქმით, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოარკვია, რომ “კაცის მკვლელთა საზიზდარი ბანდის ინტრიგების და ტერორის მსხვერპლი გახდნენ ქართული მხატვრული სიტყვის შესანიშნავი ოსტატები, ცილი და სწამეს და შეურაცხვევს პატიოსანი ადამიანები: მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე და პაოლო იაშვილი. მე მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ სათანადო ორგანოების გადაწყვეტილებით ეს პირები რეაბილიტირებული არიან.”

მეუანაძის მოხსენების დამთავრებისთანავე ტაშის ძლიერი ხმა გაისძა. ხალხი ტალღასავით წამოიმართა, ყველა ფეხზე ადგა, ზოგი ტიროდა, ზოგი - იცინოდა, ერთმანეთს ულოცავდნენ. მამაკაცებიც კი ტიროდნენ. ქეთევან და რუსულან ჯავახიშვილებიც წამოდგნენ, ოღონდ თავს ძალას ატანდნენ, რომ არ წაქცეულიყვნენ. “მსხვერპლი გახდნენ” — ეს ორი სიტყვა მათვის უსასტიკესი განაჩენი იყო. მეორედ განიცადეს მამის დაკარგვით გამოწეული ტკივილი. სამუდამოდ მოესპორ ის მედი, რომლითაც ჩვიდმეტი წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ. მიხვდნენ, რომ მამა დიდი ხნის გარდაცვლილი იყო.

მიხეილის მეგობრებიდან მის შვილებთან შეხვედრას თავი იღო მოსაშვილმა და კიდევ რამდენიმე მწერალმა აარიდა. მეუანაძის სიტყვებმა თავზარი დასცათ. მათ დიდი ცოდვა მიუძღვოდათ ჯავახიშვილის წინაშე და მიხვდნენ, განკითხვის დღე ახლოვდებოდა. იღოს საკუთარი სიტყვები გაახსენდა ”მიხო, უშენოდ ღმერთმა ერთი დღეც არ მაცოცხლოს, თვალწინ გაურბინა იმ წუთებმაც, როცა ბერიასგან მიხეილის ლიკვიდაციის გეგმას ისმენდა. რეაბილიტაციის გამოცხადებიდან ორ კვირაში იღო მოსაშვილი საკუთარ სახლში მთვრალი, მარტოდმარტო

გარდაიცვალა.

თურმე ხალხს ჯავახიშვილის შემოქმედება დასწევად და გასანადგურებლად არ გაუმეტებია. ზოგმა სოფელში გაგზავნა მისი წიგნები და იქ სხვენზე გადამალა; ზოგმა ძველ ბუხარში, რომელსაც აღარ ანთებდნენ, წლების მანძილზე შეინახა, ახლა იქიდან ჩამოიღო, მურიანი ქაღალდი მოაშორა და თაროზე შემოღო; ზოგმა თურმე მიწაში ჩამარხა, ზოგმაც — ქვევრებში; ზოგმა კარალაში ლენინის ტომები რომ წყვი, ყდა შემოაცალა, შიგ არსენა მარაბდელი ჩადო და ისევ თავის ადგილას დააბრუნა. გამომცემლობებს მითითება ჰერნდათ, მისი წიგნები ეზოებში გამოეტანათ და საჯაროდ დაწევათ, შემდეგ ნაკურებს სკოლის მოსწავლეები აგროვებდნენ და ჩუმად კითხულობდნენ. ნოდარ დუმბაძემ გაიხსენა: “ჩემმა დამ დუმელში დასაწვავად გადაგდებული წიგნებიდან რამდენიმე მოიპარა და ღამ-ღამით ჩუმად კითხულობდა, შემდეგ კი მალავდა. იმ დამალულ წიგნებს ვიპარავდი და სახლის სხვენზე ვკითხულობდი. ჩემი და თორმეტი წლის იყო მაშინ, მე კი ცხა წლისა. ასეთ ასაკში შეიძლება ადრეც კი იყო დიდებული რომანებისა და მოთხრობების კითხვა, მაგრამ მაშინ ასაკს ვინ დაგიდვდა.... ჯავახიშვილი შიშით, პარვით, ალიკურით, წყველით და კრულვით შეძენილი მწერალია ჩემთვის, ამიტომ მიყვარს იგი ასერიგად, ამიტომ განვიცდი მას დღემდე ყმაწვილვით, ამიტომ მიმაჩნია თავი მის შეგირდად, რითაც უსაზღვროდ ვამაყობ და ვიამაყებ ყოველთვის”.

გაბოროტებული ბერია თურმე თვითონ აწამებდა ჯავახიშვილს. როგორც სოლისტი, ტებებოდა მისი წამებით. ღონების დიდილთან და წაქცეულთან მისულა, მუცელზე უქნით შესდგომია, მისივე ნათქვამი სიტყვები “ჩეკისტი გვადგას თვზე” გაუხსენებია და უთქვამს, აი ახლა გადგას თვზე ჩეკისტიო. მისი სხეული ფეხით ჩაუწიხლავს. ის 1937 წლის 30 სექტემბერს დახვრიტეს.

ზურაბ ალხანიშვილი

**ჩვენი ურნალი აგრძელებს ურნალისტთა სალის გაფართოვებას და ელის უვალა
დაინტერესებაზე პირის გამოსაზრებას საზოგადოებრივ საციისაზე ურნალთა
თანამდებობრივის კუთხით.**

დაგვიკავშირდის:
qartuli@satvistomo.de



ქართველი კაცი სამშობლოს
მონატრების წყურვილს
კველგან ავლენს, სამშობლოდან
განშორების დღიდან ყოველ
პერიოდში და ცხოვრებისეული
დეტალების ყოველგვარ გა-
მოვლინებაში იქმაყოფილებს ნე-
ბისმიერი ხერხით.

ეს დიდი გრძნობაა ადამიანური
ნების გამოვლენისა, - უყვარდეს
სამშობლო სადაც იქნება და
როგორც იქნება, ისე.

აი, მაგალითად, - ექსპურსიაზე
წავედით მდიდარი შემოღვომის
შესაგრძნობლად, არათუ ისტო-
რიულ ღირშესანიშნაობათა სა-
ნახავად, არამედ თავად რომ
ჩავმდგარიყავით ღვინობის
ფერხულში.

მ წ კ რ ი ვ - მ წ კ რ ი ვ ა დ
ჩარიგებულიყო ზერები, ბოლო
რომ არ უჩანს, ისეთი, ტიციანი
რომ უგალობდა, ისე. სურნელი
იდგა ბადაგის, ფილტვები კახური
როგოლის არომატით ივსებოდა.

ასეთი სიტებოება მხოლოდ
ჩვენს მამულშია, როგოლობისას.
ფუტკრები რომ გამოიფინებიან
ოჯახ-ოჯახ, რამეთუ ირგვლივ
დაშაქრული წვენის გემო
ჯულებათ, დამათობებლი რომაა,
ისეთი, ენა-მკბენარი, მაჭრები

დადუღებას იწყებენ და ჭურებში
შხრიალებენ, გონებას რომ
ადუნებს ბახუსის გასაოცარი
ყმაწვილკაცური სიგიჟით. და ეს
სიგიჟე გადარევა რომაა მთელი
მამულით უმამულოდ დარჩენილი
კაცისთვის.

მივდიგართ, ვუშერთ და
არამარტო ვუშერთ, ჩვენ თვითონა
გართ მონაწილენი მთელი ამ
შემოღვის ურიამულისა. ვკრეფთ
ყურძნებს, მაღლა ვწევთ და მზეშე
ვჭრეტთ მის მაღლმოსილებას -
ყურძენი

შხის თვალი შესულა და შხის
სხივები მტევნების ლებნებს
ასპეტაკებს.

რა გაკლია?

თითქმის არაფერი! თითქმის-
თქო, ვამბობ, თორუმ ემიგრანტებს
სამშობლო გვაკლია გაბმულ
კახურ მრავალქამიერში რომ
გადაიფარება მთელი მამული
და სიმღერა ჩაიტევს ჩიტის
გულივით ჰატარა საქართველოს
დიდუნებოვნებით აღსავსეს,
სიტყვიერება რომ ამბობს
მოსწრებული მჭკვრით და პო-
ლიფონია მრავალხმოვან ექოში
გადაიტანს - „დიდ ქვაბში არ
ეტეოდა, ჰატარაში ცოტა იყოო“.

რა ტებილი არის მამული,
განსაკუთრებით აქ, „ცხრა მთასა
და ცხრა ზღვას შუა, მზე რომ ჩაგა
და მთვარე ამოვა“.

ვნახეთ ღვინის ქარხანა,
გავეცანით ღვინის დაყენების
ამერიკულ ტექნოლოგიას, ჩვენ
ჩვენი ვუთხარით,

მათ თავიანთი გვითხრეს.
ერთმანეთს დაგვამეობრა ღვინის
სიყვარულმა, არათუ ალკო-
ჰოლურმა, არამედ კულტურამ,
ცივილიზაციამ.

ბოლოს ლხინი გაიმართა,
სიმღერა-მოძახილებით, ქართული
მწვად-კერძებით, თათარ-
ამოვლებული ჩურჩხელებით, მამა-
პაპური სადღეგრძელოებით.

ამ ადამიანურ ურთიერთობებში
ჩვენს ტოლერანტულ ბუ-
ნებას ვამჟღავნებთ და
ყოველგვარი დიპლომატიის,
გადაჭარბებული ეტიკეტებისა
და პროტოკოლების გარეშე
ადამიანებს შორის ვამყარებთ
ადამიანურ ურთიერთობებს, -
„როცა ღამისმთევლებს ლხინი
გაუმართავთ, და სიზმრები როცა
ოვლემენ სასოუმალთან“.

და თქვენ გგონიათ, რომ

ყველაფერი ეს ჩვენს შორეულ საქართველოში მოხდა?! კი, მოხდა, უამისოდ ხომ აღარ იარსებებს ჩვენი სამშობლო, მაგრამ რაც მე ამ პატარა წერილში აღვწერე და მოგითხრეთ, აქ მოხდა, ამერიკაში უსაქართველოდ საქართველოს ნატვრით, პენსილვანიის შტატის ქალაქ ლანკასტერში, გელაშვილებისა და მათი კომპანიის „გელანის“ თავკაცობით.

ყოველ წელიწადს ასე იქნება, დავირაზმებით

ემიგრანტები და საქართველოს სიყვარულს ლანკასტერის ზერებში ჩავატევთ. მერე კი ახალი ენერგიით გავაგრძელებთ უცხოეთში ნოსტალგიური ტალღის ახალ აღმოფრქვევამდე.

მანუჩარ კაჭახიძე



მანუჩარი - მავრი გამოსახული ერთგული

ეყრდნობ „ქართული“ ფურცლებზე კაერქელებზთ ასკინძი. ჰილტომისა და აზალცისის სარცელების ჩატარებული კონკურსის მონაცილეთა საყუთოს თუმების ეძოებულება. კონკურსის სათაური ეს ხლა: „ერმანია - მეგობრების ქუყანა“.

(თუმები იძულება ყვავლად)



Chuzischwili, Saida

Deutschland - das Land der Freunde

Ich bin Saida Chuzischwili und wohne in Achalziche. Ich bin 14 Jahre alt und ich bin Schülerin.

Ich lerne in der Schule Deutsch und ich liebe die deutsche Sprache wie meine Muttersprache. Ich würde gerne deutsche Freunde haben. Ich möchte die deutsche Sprache gut erlernen.

Ich interessiere mich für die deutsche Geschichte und die deutsche Kultur. Deutschland ist wirklich ein freundliches Land. In Deutschland sind viele berühmte Menschen geboren: Ludwig van Beethoven, Johann Sebastian Bach, Franz Schubert, Johann Wolfgang von Goethe und so weiter. Sie vermitteln in ihren Werken Liebe und Freundschaft. Überall in der Welt hört man sie mit großem Vergnügen. Wenn Menschen ihre Werke hören fühlen sie eine große Wärme. In der Welt ist Deutschland ein wichtiges Land. Deutschland und Georgien sind sich ähnlich und viel

gemeinsam.

Sehr viele Deutsche haben schon Georgien besucht und viele leben auch hier. Auch viele Georgier reisen nach Deutschland, um dort zu arbeiten und zu studieren. Wenn sie zurück kommen, erzählen sie viel Gutes über Deutschland, damit wir verstehen, dass Deutschland ein freundliches Land ist. Ich selber war noch nie in Deutschland, kenne aber einige, die dort gewesen sind. und dort gewohnt haben. Meine Deutschlehrerin hat uns über Deutschland, über deutsche Gastfreundlichkeit und deutsche Pünktlichkeit erzählt.. Ich meine, dass die guten Beziehungen zwischen Georgien und Deutschland sehr wichtig für unser Land sind.

Kapanadze, Marine

Deutschland - das Land der Freunde



Auf der Erde gibt es viele Länder, aber nur eines davon ist unsere Heimat, die wir so lieben, wie unsere Eltern.

Ausser der eigenen Heimat kann man auch die anderen“ Länder lieben und ein solches Land ist für mich Deutschland.

Ich bin eine Schülerin und habe dieses Land noch nie besucht, darum kann ich über Deutschland nicht viel sagen. Aber auch aus der Schule, dem Fernsehen, den Büchern erfahre ich vieles von diesem Land. Ich weiß, Deutschland mit seinen unterschiedlichen Landschaften, seinen Sehenswürdigkeiten, Sitten und Menschen ist sicher ein schönes und interessantes Land.

Goethe und Schiller, Beethoven und Bach, Dürer und die Brüder Kranach, der Berliner Fernsehturm und "Urania", das ist eine kurze Liste davon, was mich an Deutschland erinnert.

Am interessantesten für mich sind die deutschen Menschen, mit ihrem alltäglichen Leben, besonders interessiere ich mich für die jungen Menschen, die in meinem Alter sind. Leider kenne ich noch niemanden in Deutschland.

Meine Banknachbarin Theona aber kennt jemanden aus Deutschland. Sie heißt Maria und ist ihre Drzin. Sie soll eine fröhliche und freundliche Frau sein, die nicht mehr so jung ist. Vor 2 Monaten bekam sie Massagen von Maria, weil sie durch einen Unfall vor zwei Jahren fast bewegungsunfähig war. Die Drzte sagten den Eltern, sie sollten mit ihr ins Ausland fahren, dort könnte man ihr helfen. Aus Geldmangel konnten die Eltern das nicht. Zum Glück erfuhren Theonas Eltern von einer deutschen humanitären Organisation, deren Drzte in Georgien kranke Menschen kostenlos behandelte. Meine Banknachbarin wurde in Tbilissi von deutschen und

georgischen Ärzten gemeinsam erfolgreich operiert.

Nach der Operation waren die Massagen an den operierten Beinen notwendig. Maria massierte die Beine und schenkte Theona nach jeder Behandlung eine große Tafel Schokolade. Maria war auch herzlich und freundlich zu den georgischen Assistenten und hatte eine gute Beziehung zu allen. Bei ihren Untersuchungen der Patienten war sie gründlich und sorgfältig. Die georgischen Ärzte unterhielten sich mit Frau Maria auf deutsch, diese versuchte auch etwas georgisch zu lernen.

Zur Zeit ist Theona wieder zu Hause. Sie ist den deutschen Ärzten dankbar, dass die trüben und traurigen Tage vorbei sind, dass sie wieder glücklich sein kann. Sie ist wie neu geboren und wieder Lust am Leben. Auch ich bin glücklich, dass Menschen aus dem Land, das ich so gern habe, meine beste Freundin wieder glücklich gemacht hat.

Diese kleine Geschichte ist ein guter Beweis, dass Deutschland wirklich ein Land der Freunde ist und die Freundschaft unter den Völkern keine Grenzen kennt.

Mari Samsonidse



Deutschland - das Land der Freunde

Alle reden viel über Freundschaft, eigentlich weiß vielleicht keiner, was es genau bedeutet. Heißt Freundschaft Treue? Oder bedeutet sie nur einfach jemanden zu lieben, miteinander offen reden zu können? Drogenwie ist die Freundschaft all dies und noch ein bisschen mehr. Wer selbstlos zum anderen zur Hilfe geht, einen nicht in Stich lässt, ist wirklich ein guter Freund. Solche Freunde machen das Leben leicht. Ich selbst hatte noch nicht erlebt jemanden von meinen Freunden in der Not zu prüfen, (aber) habe vieles in der Literatur gelesen und auch in den Filmen gesehen.

Es ist gut, Freunde zu haben und besonders im Ausland. Man kennt dadurch verschiedene Länder, ihre Kultur, kennen, erfährt viel Interessantes über die Jugendlichen in fremden Ländern. Natürlich kann man Information darüber auch aus Büchern und Zeitschriften bekommen, es ist aber sehr angenehm, mit jemandem in seiner Sprache zu sprechen und Sprachkenntnisse für Kontakte mit Freunden zu gebrauchen.

Meine Freunde leben in Georgien. Ich habe noch keine Freundin in Deutschland. Schade! Weil ich Deutsch lerne und Deutschland von fern liebe. Ich habe mehrmals geträumt, wie ich eine Reise nach Deutschland machen werde oder sogar dort lernen oder studieren werde. Ich möchte mit jemandem Deutsch unterhalten. Im Jugendmagazin „Letternet“ lese ich oft über Brieffreunde aus aller Welt. Einmal habe ich auch meine Adresse geschickt, um eine Brieffreundin zu finden. Vielleicht finde ich sie noch.

Ich habe von meiner Nachbarin, Anna, viel Gutes über Deutschland gehört. Sie lebte einige Jahre in Deutschland. Damals, als in Georgien das Leben ganz schwer war. Sie hat dort als Flüchtlings gelebt und hat selbst gesehen, wie Deutsche ihr halfen. Sie findet Deutsche pünktlich, arbeitsam und höflich. Sie spricht Deutsch sehr gut. Sie erzählt viel Lustiges über deutsche Freunde und schreibt noch heute Briefe. Deutschland ist für mich das Land der Freunde von Anna. In Diesem Jahr kommen sie in Georgien an und ich werde sie kennen lernen. Dann werden sie auch meine Freunde. Ich erwarte den Sommer ungeduldig und weiß schon, was ich ihnen in Georgien zeige.

Ein schönes Gefühl, viele Freunde zu haben.

Ohne sie wäre das Leben so arm!

სამეცნიერო კურსების მონიტორინგის სამსახურის ცენტრული ინსტიტუტის მიერ გამოცემის შედეგები

ის, ვისაც ჩვენ სარკეში ვხედავთ, ჩვენი უნივერსალური პერსონის მხოლოდ ერთი ნაწილია. ადამიანი, რომელიც ჩვენს შეფასებაში უკეთაზე არაკომპეტენტურია, თვითონვე ვართ. ოჯახის წევრები, მეგობრები, კოლეგები, თუ ჩვენი პარტნიორები, როგორც მეცნიერებმა დაადგინეს, უკეთესად ართვამენ თავს, შეაფასონ ჩვენი მოსალოდნელი რეაქცია კონკრეტულ სიტუაციაში, ვიდრე ჩვენ. პრობლემა კი იმაშია, რომ საკუთარი თავის შეფასებაში არაობიექტურები ვართ და ამის გამო დაუსრულებლად გვიწვევ საკუთარი თავის მოტყუება. საკუთარი პიროვნების აღქმა გარკვეულწილად, ჩვენი სხეულის ჩარევითაც ხდება. ადამიანის სხეული აღჭურვილია შინაგანი საზომი სისტემით, რომელიც ყველა მოძრაობას აფიქსირებს და დაკვირვებს შედეგებს პროტოკოლის სახით აწვდის გონებას. გონება გადაამუშავებს ამ ინფორმაციას და, თავის მხრივ, მართვის ინსტრუქციას გადასცემს კუნთებს ნერვული სისტემის გაღიზიანების შესახებ, რომელიც მოძრაობის, წონასწორობის შენარჩუნების და თავის დაჭრისთვისაა პასუხისმგებელი. ტვინი წამის განმავლობაში რამდენჯერმე აკეტებს „Update“-ს სხეულში მიმავალი ცვლილებების შესახებ. ეს მოკლედ და მარტივად, მაგრამ რატომაა ასე როგორი ფლობდე საკუთარ თავს და იყო „ის ვინც ხარ“?

ადამიანები საკუთარი თავის შეფასებისას ძალიან ხშირად რეალობისგან მოწყვეტილები არიან. ფსიქოლოგები და ნერვოლოგები უკვე აღქმის მოშლის ეპიდემიაზეც კი საუბრობენ. უახლესმა დაკვირვებებმა აჩვენა, რომ ასეთი სახის პრობლემების უმეტესობა ბოლო 30 წელში დაფიქსირდა.

მიზეზი ბევრია, გამოსაყალი ცოტა. ცხოვრების პირობები ჯერ ასე სწრაფად არასოდეს შეცვლილა.

პიროვნულმა იდენტიტეტმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. ადამიანი იძულებულია გამუდემებით ახდენდეს საკუთარი თავის გადაფასებას. რაც, ერთის მხრივ, ბევრ ახალ და საინტერესო გზას უხნის მას, მეორეს მხრივ კი, დიდ სიმარტინის დაკავშირებული. თავი დაიმკვიდრო სწრაფად ცვალებად გარემოში, მოიპოვო აღიარება საზოგადოების გარკვეულ ჯგუფში, სამხახურში თუ ახალმეგობრებთან დაესყველავერი მრავალჯერადად, ნიშნავს გამუდმებით იყო მზად „ბრძოლისათვის“. ახლად დამკვიდრებული გამოთქმის მიხედვით: შეძლო კარგად გაყიდო საკუთარი თავი. ერთი შეხედვით ძალიან ადვილია იყო ის, ვინც ხარ, და შექმნა შენი ისეთი ხატი, რომელიც შენთვისაც მისაღებია და შენს გარშემო მყოფი საზოგადოებისთვისაც.

ამერიკელი მეცნიერების, იოზეფ ლუჟეტის და პარი ინგკამის აზრით ეს გაცილებით ადვილი იქნებოდა, ადამიანს ერთი „მე“ რომ პქონდეს და არა ოთხი. მათი თქმით ყველა ადამიანი თავის თავში ოთხ სხევადასხევა პიროვნებას ითავსებს. ან უკეთ რომ ვთქვათ: იმ ოთხ ნაწილს, რომელიც ერთად პიროვნებას შეადგენს. ჩვენი პიროვნების შემაღებელი ეს ოთხი ნაწილი კი ხშირად ნაკლებად ემორჩილება ჩვენსაც კონტროლს. ისინი ხან ავსებენ ერთმანეთს, ხან კი წინააღმდეგობაში მოდიან ერთმანეთთან. თუ ერთი მათგანი ინიციატივას საკუთარ თავზე აიღებს და სხვებს დაჯაბნის, სავალალო შედეგამდეც შეუძლია ჩვენი მიყვანა.

ლუჟეტმა და ინგკამმა დააკონკტერეს და აღწერეს პიროვნების შემაღებელი ოთხივე ნაწილი.

1. „არაცნობიერი მე“

„არაცნობიერი მე“ უკეთად ისეთი საქციელისთვისაა პასუხისმგებელი, როგორიცაა საკუთარ თავზე

კონტროლის დაკარგვა და დაუგეგმავ, არასასურველ მოქმედებებზე გადასვლა. მიუხედავად წინასწარ ჩამოყალიბებული კონცეფციისა: გაწონასწორებული და აუღელვებელი დარჩეს კრიტიკულ სიტუაციაშიც, „არაცნობიერი მე” მყისიერად იღებს ინიციატივას იმოქმედოს, როგორც კი ხელი არასასურველ დილაკს მოხვდება. გრძნობების და ემოციების ასეთი სახის გამოხატვას „არაცნობეირი მე”-ს შემთხვევაში შინაგანი უკმაყოფილება უდევს საფუძვლად, რომლის გამომწვევი მიზეზებიც ნაკლებადაა ცნობილი მისთვის და მის გარშემო მყოფი საგრძალოებისთვის.

2. „შინაგანი აგენტი თუ იდუმალი მე”

ამ „მე”-ში ადამიანის სურვილები და ფიქრებია თავმოყრილი. მათ შორის ისეთებიც, რომელთა გამხელაც საკუთარი თავისთვისაც არ გვინდა. აქვე აქვთ ადგილი ბურუსით მოცული საიდუმლოებებსაც.

მსგავსი ისტორიები, რა თქმა უნდა, სასურველია სულაც არ იცოდეს სხვამ. ასეც ხდება და ჩვენი პიროვნების შემადგენელ ამ ნაწილს ცივ ნიავს და უცხო თვალს არ ვაკარებთ.

3. „უსინათლობრივი მე”

პიროვნების ეს სფერო ყველაფერ იმას აერთიანებს, რასაც სხვები ჩვენს შესახებ ფიქრობენ, ჩვენში ხედავნ და რომლის შესახებაც ჩვენ წარმოდგენაც არ გვაქს, რადგან ისინი ამას არ გვიმხელენ.

იქნებ გაემზილათ კიდეც, ამის შესაძლებლობას რომ გაძლვდეთ.

კი, მაგრამ რა შეიცვალა იმით, რომ ჩვენი პიროვნების შემადგენელი სამი ნაწილის შესახებ გაუიგეთ? პახუსი ასე ჟღერს: ბევრი რამ. ვინც მათ შესახებ იცის, შეუძლია გავლენა ჰქონდეს მათხე და იზრუნოს, მეოთხე და ყველაზე მნიშვნელოვან „მე”-ზე, რათა მისი გავლენით აკონტროლოს ზემოთ ჩამოთვლილი სამი.

4. „საზოგადო მე”

გქონდეს ძლიერი „საზოგადო მე” ნიშნავს იყო: სოციალურად კომპეტენტური, აღიარებული და წარმატებული. სწორედ ჯანმრთელი „საზოგადო მე” განაპირობებს საკუთარი თავის სურათის და სხვების მიერ წარმოდგენილი ჩვენი სურათის

ურთიერთთანხმობას. ეს გაცილებით ადგილი იქნებოდა დანარჩენი სამი “მე” გამუდმებით რომ არ ცდილობდნენ დააუძლურონ „საზოგადო მე”. ჩვენი პიროვნების იდუმალება, სიცრუე და ჩვენი უნდობლობა სხვების მიმართ საფრთხეს უქმნის ჩვენს ურთიერთობებს. ყველაზე ძლიერი „მე” არაცნობიერებიდან გამუდმებით ცდილობს, გვიძიგოს კონფლიქტებისა და უთანხმოებისაკენ. ვინც ვერ ხვდება, რომ მას მეგობრები ქედმაღლად აღიქვამენ, სირთულეებიდან თავს ვერ დააღწევს, იმიტომ, რომ მან არც კი იცის რა არის მასა და მის მეგობრებს შორის გაუგებრობის მიზეზი.

ადამიანი ხშირად ძალიან ნაცნობ გარემოშიც თავს უცხოდ გრძნობს. ერთი შეხედვით ირგვლივ ყველა ახლობელი და მეგობარია, მაგრამ შინაგანი დისკომფორტი ამით არ იცვლება. ასეთ დროს

ადამიანის სითვის დროს სტარებაც აც და უშუალო, არაოფიციალური შეხვედრები და უშება. თვით ყველაზე იოლ თემაზე საუბრისასაც სირთულე ულე ეს წარმოადგენს აზრის საკუთარი აზრის გამოხატვა. ამ დროს ადამიანი ფიქრობს, რომ სიტუაციას მის გარდა ყველა კარგად ერგება და საინტერესო აზრებიც იგივე ხალხს მოსდით თავში. ის კი დუმილს ამჯობინებს და, უკეთეს შემთხვევაში,

მთელი კონცენტრაცია მაგიდაზე თითუბის კაგუნზე გადააქვს, მზერა კი - შეძლებისდაგვარად შორის. მას მხოლოდ ორი სურვილი აქვს, დატოვოს „ჩემთვის სულ ერთი ხართ“ ან კიდევ „მე თავს ძალიან კარგად ვგრძნობ შთაბეჭდილება“ და გარემო, რომელიც სულს უხუთავს. მეორეს საკმაოდ იოლად ახერხებს და ხშირად გამოუშვიდობებლადაც კი უჩინარდება.

მეცნიერები ადასტურებენ, რომ ამ თითქოსდა უწყინარ „ფობიას“ ორი ცუდი შედევი მოყვება. პირველ რიგში ის ადამიანს შეერგებას უჩინს რომ უბედურია, რადგან „მე“ მათ არ ვაკუთვნი“ გრძნობა ტვირთად აწევს გონებას და მეორე, ამ შიშის ფონზევე განისაზღვრება მისი და იქ მყოფი ადამიანების სამომავლო დამოკიდებულებაც. სხვები მასში მორცხვა ან თავისი თავით უკმაყოფილო ადამიანს კი

ქართული

არ ხედავენ, არამედ ფიქრობენ რომ მათ წინ კიდევ ერთი ქედმაღალი და უმიზეზოდ ამაყი პიროვნება დგას.

თითქოს ეს ყველაფერი არც ისე ცუდია და ყველას შეიძლება დაემართოს, მაგრამ სწორედ აქ იღებს სათავეს ნამდვილი ნევროზი და „სოციალური ფობია“ (საზოგადოებასთან ურთიერთობის შიში). დაუძლეველი შიში, ადამიანების წინაშე რამე „თავისმომჭრელის“ დამართების ან ნებატიური შთაბეჭდილების დატოვების, თვით გერმანიაშიც კი მესამე ადგილზეა ფსიქიური მოშლილობების გამოწვევ მიზეზებს შორის. სტატისტიკური მონაცემებით ამ დაავადებით გერმანიში 8 მილიონზე მეტი ადამიანი იტანჯება. სიმპტომები შემდეგნაირია: ეს ადამიანები უსიამოვნო შეერმნებების თვითი აცილების მიზნით თავს არიდებენ ყოველგვარ დიდ თავისულობას, საუბარს და საკუთარი აზრის გამოთქმას საზოგადოების წინაშე. თუკი მსგავს სიტუაციაში გამოიუვალი მდგომარეობის გამო მაინც აღმოჩნდებიან, შიში, პარანოია და პანიკა ერთად იჩენს თავს და სხეულს იყვნენ ტყვედ. გულის ცემა ჩქარდება, ხელები კანკალს იწყებენ, სუნთქვა არათანაბარი ხდება, გუნთები კი დააძაბული. გართულების შემთხვევაში სისუსტედათავბრუსხევებიც კია მოსალოდნელი. ფსიქიკა და სხეული ასეთ არასტაბილურ მდგომარეობაში, სიტუაციას მხევრპლისთვის კიდევ უფრო სავალალოს ხდის. მისი საქციელი სხევებისთვისაც შესამჩნევი ხდება. შედეგი კი ისაა, რომ ის კიდევ უფრო მეტად რწმუნდება მისთვის ისედაც საშინელ რეალობაში: მას არ შეუძლია საზოგადოებაში ისეთივე წარმატებული ან უბრალოდ ძალდაუტანებელი იყოს, როგორც სხევები. ეს მისი იღბალია და შეცვლას არ ექვემდებარება. ის, თუ როგორები ვართ ჩვენ, ამ შემთხვევაში ძნელი დასანახი ხდება სხევებისთვის, რადგან უფსკრული ჩვენ ნამდვილ „მე“-ს, ჩვენს მიერ წარდგენილ ჩვენს თავსა და სხევების მიერ დანახულ ჩვენს პიროვნებაში გადაულახვია. ერთი რამ კი ცხადია: ადამიანებს, რომლებიც სოციოფონბით იტანჯებიან, მხოლოდ ის აკლიათ, რაც თავდაჯერებულ ადამიანებსა აქვთ: რწმენა იმისა, რომ ყველა სიტუაციაში გამოსავალს ნახავენ. აქედანვე გამომდინარეობს მათი ტოლერანტული დამოკიდებულება წარუმატებლობისადმი და წინასწორობის შენარჩუნება კრიტიკულ სიტუაციაში. დრეზდენის ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარებულმა გამოკვლებებმა აჩვენა, რომ 75% იმ ადამიანებისა, ვინც ამ სენით იტანჯება უკვე 16 წლიდან არის ნევროზის მსხვერპლი. ფსიქოლოგ ერიკ ლაიბინგის აზრით, ფსიქიური მოშლის ასეთი სახე შეიძლება მემკვიდრეობითაც გადადიოდეს. „ხშირად, სწორედ საკუთარ თავში დაეჭვებული მშობლების შვილები ამჟღავნებენ მსგავს მიღრეკილებებს“ – ამბობს

ის. ბავშვები ადრეულ ასაკში განსკაკუთრებით ბაძავენ მშობლებს. ისინი ასევე სწრაფად იჯერებენ და ხდებიან ასეთები, თუკი მშობლები ან თუნდაც სხევები ეტყვიან, რომ მორცხვი და თავდაუჯერებელი ბავშვების შთაბეჭდილებას ტოვებენ.

არის თუ არა შეცდომა ჩვენი აღქმის სისტემაში? საკუთარი თავის შეცნობა მეცნიერების აზრით, შემცნებათა შორის ყველაზე რთული პროცესია. მაშინ, როცა ადამიანების ერთი ჯგუფი დავდაუჯერებლობით იტანჯება, სხვა კატეგორია მეორე უკიდურესობაშია გადაგარდნილი. სიტუაცია არც აქაა ნაკლებად დრომატული. აქაც ერთმანეთსაა აცდენილი ჩვენდამი ჩვენი საკუთარი და ჩვენი თანასაზოგადოების დამოკიდებულება. მაგალითად, გამოკითხული მძღოლების 80% თვლის, რომ ისინი მსოფლიოში საუკეთესო მძღოლების 5%-ში შედიან. იგივე შეიძლება ითქვას, როცა საქმე მორალს და დადებით პიროვნულ თვისებებს ქვება. სტატისტიკის მიხედვით, ადამინების უმცესობა დარწმუნებულია, რომ ისინი იმ მცირეთაგანს მიეკუთვნებიან, ვისაც სხვებზე საინტერესო და ღრმა შინაარსის მქონე ცხოვრება აქვთ. გარდა ამისა, ისინი თვლიან რომ ასევე სხვებთან შედარებით უფრო მგრძნობიარენი და კარგად მოაზროვნები არიან. თვითშეფასება ყველა ზღვარს ცდება, როცა საქმე პროფესიონალიზმს ქვება. სხვადასხვა გამოკითხვებში მონაწილე ამერიკული პროფესორების 94% ამტკიდებდა, რომ თავისი შესაძლებლობებით და მიღწეული შედეგებით ბევრად აჭარბებენ ადამიანურ საზღვრებს. სტუდენტებიც თავიანი განათლების დონეს უფრო მეტად აფასებენ, ვიდრე ამას მათ მიერ მიღწეული შედეგები ადასტურებენ.

განსაკუთრებით საშიში საკუთარი თავის ობიექტურად შეფასების უნარის არქონა მაშინ ხდება, როცა ასეთი ადამიანები სხევების ბეღზეც იღებენ პასუხისმგებლობას. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ არცთუ ისე ცოტა მფრინავი, ექიმი, მეცნიერებლი ინჟინერი თუ მოსამართლე გაცილებით მეტს იღებს საკუარ თავზე, ვიდრე ეს შეუძლია, ისე, რომ ეჭვიც კი არ უჩნდება თავის არაკომპეტენტურობაში.

ეს ყველაფერი კი უიმედოდაა წრეში მოქცეული: რაც უფრო არაკომპეტენტური და სულელია ადამიანი, მით უფრო ნაკლებადაა იმისთვის მზად, საკუთარი თავი და შესაძლებლობები ობიექტურად შეაფასოს. მეცნიერები ხშირად ამ ყველაფერს, „აღქმის სისტემაში დარღვევის არსებობით“ ხსნან.

გერმანულიდან თარგმნა
თინათინ ჩითინაშვილმა

ვაჲ

თუთა დამწიფებულა, შავი თუთა. იასამნისფერი სკორეთი მოუჭრელებიათ თუთას დახარბებულ ღაბუა ჩიტებს მამაჩემის საფლავი. აუცილებულა თუთა. ჩემი ბიჭები, უკვე ვაჟკაცობაში შესულნი, თხრიან საფლავებ ზე მომძლავრებულ ბალახს. გაშავებიათ ბალახებში ჩაცვენილი თუთისაგან თითები. „ბუოლას ხელებიდან, ბაბუ, ისევ ბუოლის ფოთოლი ან კუხე ბუოლა მოგაცლის“ – სადღაც შორიდან ჩამესმის ბაბუაჩემის ხმა. მეც ასე ვთხრიდი ბალახს ბაბუის მამის საფლავიდან თავის დროზე. ცერად გავხედავდი ხოლმე ჭვის სვეტს, რომელზე მიკრული ფაიფურიდანაც ულვაშებაპრეხილი, წვერებიანი ვაჟკაცი შემომყურებდა.

მაშინაც დიდი იყო თუთა.

მოვრჩებოდი თუ არა საფლავის გაწმენდას, ბაბუა ხელში ამიტაცებდა და თუთის ტოტზე შემომსვამდა.

„ჭამე, ბაბუა, ბუოლა, მამაჩემის ძვლებზეა ამოსული“. დაფრთხებოდნენ ჩიტები. მერე კოლია ბაბუა გადმოვიდოდა, ბაბუაჩემის ბიძაშვილი და განაუ ოფი. დაეყრდნობოდა რკინის რიკულს. მამამისის საფლავი იქვე იყო - უზარმაზარი, ხავსმოდებული ასწლოვანი ცაცხვის ჭვეშ მიყუული. მოხდიდა ბაბუაჩემი თუთის ძირში მიდგმულ დოქს ნაქურჩალს, წელში გამოყვანილ ჭიქებში ჩამოასხამდა ადესას. ერთ ჭიქას კოლია ბაბუას

მიაწვდიდა. გახედავდა მზის შუქზე ჭიქას კოლია ბაბუა, ფერს შეუმოწმებ და ღვინოს, თითქოს გუშინ სალამოს არ დაელიოს ბაბუაჩემთან ერთად. მერე ფლატუნით შემოვიდოდა შემოღობილში.

- ეჭ, რა ვაჟკაცი იყო მაქსიმელა?! თხუთმეტი კაცი ვერ დოუდებოდა გვერჩი. ამ ბალანას ხელა ვიყავი, - ჭიქიან ხელს გამოიშვერდა ჩემკენ, - ბაშურიდან რო მოვდიოდით. გრიშაია ოსმანას დეენიძლავა. ჩარდახიანი ურემი უკნიდან აწია და ხარებს ისტე გამოუყვა. აყვირდა გრიშაია, ნუ დამიხოცე ხარები, მაქსიმელა, გვისრულობ პურმარილსო! იანეთის



გარასახოვთან რო ღუქანი იყო, იქანა იქეიფეს. ბალანა ვიყავი და პირდაფჩენილი მივჩერებ ოდი მთასავით ვაჟკაცს, აპა!

შევექცეოდი თუთას და მერამდენედ ვისმენდი ჩემი დიდი ბაბუის ვაჟკაცობის ისტორიას. მერე... მერე ბაბუაჩემის საფლავიც მოემატა მაქსიმე ბაბუას საფლავს. მე და მამაჩემი მოვდიოდით, ბალახისა და ჩამოყრილი თუთისაგან ვასუფთავებდით სასაფლაოს. მოგრჩებ ოდით და კოლია ბაბუას ბიჭიც გადმოვიდოდა, მამამისზე ხმელი და მამაჩემის თანატოლი. შეავსებდნენ თლილ ჭიქებს. ჩემით ავძვრებოდი თუთაზე, დავათრთხობდი ჩიტებ ს და ვჭამდი ცერისისხო შავ თუთას.

- რა კაცი იყო ოლიფანტე, ეჭ, ათი კაცი ვერ დოუდგებოდა გვერჩი. მაგი რომ ფაეტონით გამევლიდა... ეჭ... ფუთ ღვინოს სვამდა. არღანზე უყვარდა ნამეტნავად ჭიდოვი. ქორწილში წინასწარ აძლევდნენ შამფურზე წამოცმულ გოჭს, მაინც ოლიფანტემ უნდა წეიღოსო და...

- აპა, სადღა არიან ახლა ეგეთი ვაჟკაცები. - გახედავდა ბაბუაჩემისსურათიან საფლავის ჭვას მამაჩემი.

ახლა მე ვდგავარ მამაჩემის, ბაბუაჩემისა და დიდი ბაბუის საფლავთან. გავყურებ თუთის ხეს, ჩემი წინაპრების ძვლებით ნასაზრდოებს.



უივილ-ხივილით სხმარტალებენ ღაბუა ჩიტები ფოთლებში. იქვე ჩემი ბავშვობა მიყუჟულა. ბიჭები მორჩნენ საფლავის გაწმენდას. წელში გასწორდნენ, თუთას ახედეს.

- ორივეს გაგვიძლებს? - გადმომხედა უფროსმა.
- გაგიძლებთ, შვილო...

მიფრთხობენ ბავშვობის მოგონებას.

კოლია ბაბუას შვილიშვილი გადმოდის. ჩემსავით შეჭაღარავებია თბა. დოქტიდან წელში გამოყ ვანილ ჭიქებში ვასხამ კოოპერატივში ნა ყიდ ღვინოს. ვეღარ მოვუარე მამაპაპეულ ვენახს. ბაბუამისივით გახედავს მზის შუქზე ჭიქას კოლიას ბადიში.

ახლა ღვინოს უკვე აღარ იწუნებენ და არც ფერს უსინჯავენ, მაგრამ მაინც წესად შემორჩენა.

- რა კაცი იყო ცხონებული აჩიკო, მაგი რომ მკლავს გაშლიდა ქორწილში, ერთ ნახვად ღირდა! არადა, ისე წყნარი იყო, ჭიანჭველას არ დაადგამდა ფეხს, აპა.
- ეჭ, სადღა არიან ეგეთები.

ჭრიალებს ბიჭების სიმძიმისგან მოხუცი თუთა, ჩემი წინაპრების ძვლებზე გაზრდილი და მათი საფლავების დარაჯი.

გავა დრო. ალბათ, ჩემები ჩემს შვილიშვილებს მოიყვანენ აქ. დააფრთხობენ თუთაზე შესეულ ჩიტებს. გადმოგადმოვა ვა კიდევ კოლია ბაბუას ნაშიერი. შეავსებენ ჭიქას და...

ერთი, ღმერთო, ის გამაგონა, რას იტყვიან ჩემზე...

მამუკა ვაშაკიძე

გთავაზობთ გერმანიის ნებისმიერ სახელმწიფო
სტრუქტურაში აღიარებულ
დამოწმებულ თარგმანებს საგალდებულო “ISO-Norm”-ის დაცვით ხანმოკლე ვადაში და შეღავათიან ფასებში.

მაკა ბაუერი, დიპლ.-გერმანისტი,
სამგზის ნაფიცი მთარგმნელ-თარჯიმანი გერმანიაში
მთავარი ბიურო: Industriestr. 23, 97437 Hassfurt
ტელ.: 09521/958459; მობ.: 0160/92223212;

Fax: 09521/1258

www.dolmetscher-georgisch.de
maka.bauer@gmx.de

ბიურო მიუნხენში: Thierschstr. 28, 80538

München

089/3234202; 0179/2559199

სვანეთის გზაზე მიმავალ მძღოლს საბურავი დაეშვება. გადმოვა მანქანიდან და მის მოხსნას დაიწყებს. მიუახლოვდება სვანი და ეკითხება:

- რას აკეთებ?
- აი, ხომ ზედავ, საბურავს ვხსნი, - უპასუხა მძღოლმა.
- სვანი გატრიალდა, მოზრდილი ქვა აიღო და კარის შუშა ჩალეჭა. მძღოლი გაკირვებული ეკითხება:
- რას შვები, კაცო?!
- მე მაგნიტოფონს ამოვილებ, - უპასუხა სვანმა.

* * *

აფხაზეთის ომია, სვანი და მეგრული სანგარში არიან და ავტომატს ისვრიან. სვანი წელს ზევითა ამოსული სანგარიდან და მშვიდად, ვაჟგაცურად ისვრის მტრის მიმართულებით მეგრულს კი მარტო ხელები აქვს ამოყოფილი და უმისამართოდ ისვრის. სვანი გაბრაზებული ეუბნება:

- ტყვიებს რას ხარჯავ, თუ ისვრი, დაუმიზნე მაინც!
- დასანახადაც მეზიზღებიან! – არ დაიბნა მეგრული.

* * *

- რა გქვია?
- დათო.
- რა გვარის ხარ, დათო?
- დაუწენაშვილი.
- ოხ, რავა „კოკა-კოლასნაერზ“ სახელი და გვარი გაქვს.

* * *

გურული და მეგრული მატარებლით მგზავრობენ. გურულს გოჭის ხორცი აქვს და ილუქმება. მეგრულს მხოლოდ ცარიელი ციფი მჭადის ნატეხი უჭირავს.

- გმეც ხელებია, ძამა, მაი ჭადი და ისე გეჭამა, - ეუბნება გურული.

— ცხელი არ შეიძლება, წიე, ციფი ჭადი მიხედრილობას უწყობს ხელს.

- გამიცვალე რაია, ძამა.

გაცვალეს. ჭამს გურული ციფ მჭადს, მეგრული – გოჭის ხორცს. ცოტა ხანში გურული ამბობს.

- ე, რაფრა მომატყუე, შე მეგრულო!
- მიხვდი, ხომ? მასე იცის ჭადმა

* * *

ოსი ექიმთანაა.

- რა გტკვა?
- ექიმი შენ ხარ და მე მეკითხები?!

თ ა კ შ ე ტ ა ს ტ ე რ ე ბ რ დ

შეკითხვები ბავშვებს

1. რომელი წელს გამოცხადდა თბილისი საქართველოს დედაქალაქად?
 - 484
 - 1122
 - 1226

2. რომელი ოქუდივის შესახურია იღუმენი (დედა-წინამდებარი)?
 - ბუდისტურის
 - მაჰმადიანურის
 - მართლმადიდებლურის
 - ქათოლიკურის

3. დაასრულე გამონათქვაში უდარდელ ადამიანზე „და ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა...“
 - ქოშად
 - ჩემად
 - სანდლებად
 - ქალამნად

4. რომელია ხალხური ლექსი?
 - „მუმლი მუხასათ“
 - „მე ისეთ ქართველს რა გუთხრა“
 - „გრწანისის უაუჩხობი“

5. დაალაგე სიტყვები ისე, რომ აფორიზმი მიიღო: რასც არა, დაკარგულია, რასაცა გასცემ, შენია.

6. რომელი ქვეეპანა ესაზღვრება საქართველოს მდინარე ალაზნის ქვემო დინების გასწორივ?
 - აზერბაიჯანი
 - ლუსეთი
 - სომხეთი
 - დაღუსტანი

7. რა სახელითაა წნობილი თბილისის აბანოები?
 - ქართულის აბანოები
 - გოგირდის აბანოები
 - მიწისქვემა აბანოები

8. საქართველოს რომელი ადგილია წნობილი საძურნებლო ჰაერითა და ობსერვატორით?
 - აბაში
 - ბორჯომი
 - აბასთუმანი
 - ბაკურიანი.

ანდაზები და ბრძნელი გამოთქმები

აღმართი და დაღმართიო, არც ერთია წაღმართიო.

აკაკი: უსამართლო მლიერებას საუკუნო არ აქვს მალი, უძლეველი საბოლოოდ არის მხოლოდ სამართალი

დღეს თვალი აქვს და ღიმეს უურიო.

გალაკტიონი: ასე ხდება ქვეყანაზე – უველა ცოცხლობას, უველა ევდება, და ვაი მას, ვის სიკვდილი სიცოცხლეშივ ავიწედებათ.

მდიდრის წუწუნი საწეალ კაცს თავის სიღარიბეს დავიწევბსო.

გაუა: მძიმეა თავის ქვეყანა, თავის წეალ-ჭალა მლიერი! მიწაც ტებილია მშობლური, გულს რომ უკეთა ფხვიერი.

ზასუხები:

1. 1122 („აიღო მეფემან ქალაქი ტფილისი, ბირეველსავე იმსა, ოთხსას წელ ქოჩებული სპარსთა და დაუმკევიდრეს შეილთა მისთა“)
2. მართლმადიდებლურის
3. ქალამნად
4. მუმლი მუხასათ
5. რასაცა გასცემ შენია, რასც არა დაკარგულია.
6. აზერბაიჯანი
7. გოგირდის აბანოები
8. აბასთუმანი

გვერდი მოამზადა
ნინო ცხომელუ-დემინერმიდტმა

